ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გიორგი ყუშიტაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერი-სახელმწიფოს კონცეფციის კონტექსტში

პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი

თბილისი

2022

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანალიზს ეთმობა ერი-სახელმწიფოს კონტექსტში და ამასთან მიმოიხილავს მისი დაფუძნების წიაპირობებს 1918 წლამდე.

კვლევის მიზანს ერთი მხრივ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და იმ ხანის სხვა პოლიტიკური პარტიების ხედვების გამოკვეთა წარმოადგენს ეროვნული საკითხისადმი, მეორე მხრივ კი ამ ხედვის ცვლილების მიზეზებისა. ასევე კვლევის მიზანია აჩვენოს ის ძირითადი თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც განაპირობებდა საუკუნეების შემდეგ აღდგენილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს.

ამისთვის კვლევაში ისტორიული კონტექტსის გათვალისწინებით, გაანალიზებულია აღნიშნული პერიოდში მიმდინარე პარტიათშორისი და შიდაპარტიული დიალოგები და დაპირისპირებები, საკითხის გარშემო შექმნილი თეორიული და ისტორიული ლიტერატურა და იმ პერიოდის პერიოდული პრესა. ასევე შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერებისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ხედვები დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწყობის შესახებ.

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ მიუხედავად რესპუბლიკის დაფუძნებამდე ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, პარტიებს შორის საბოლოოდ მოხდა კონსოლიდაცია საქართველოსთვის პოლიტიკურ თვითმმართველობის საჭიროების შესახებ, რაც 1918 წლის 26 მაისიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში გადაიზარდა.

კვლევის ძირითად სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პარტიათა ხედვები ეროვნული საკითხის გარშემო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნების საკითხი გაანალიზებულია ოტო ბაუერისა და კარლ კაუცკის თეორიის კონტექსტში.

Summary

Georgian Democratic Republic in the context of nation-state

Kushitashvili G.

This research tries to analyse the Democratic Republic of Georgia in the context of nation state and to highlight the preconditions of its establishment.

The aim of the study was to demonstrate the views of the main political organizations of that time on the national question and to try and find the reason why these views had changed. Also it aimed to show main aspects, theoretical and practical, on which the Democratic Republic of Georgia was established.

For this, interparty and intraparty discussions on the national question are analysed in the historical context of that time. During the research theoretical and historical literature and periodical press of the time was also studied. The views of leaders of the republic and members of constitutional committee are also studied and analysed.

The results showed that despite the discussions on necessity of independent state for Georgia, a consolidation was reached about the necessity of political autonomy for Georgia which turned into the state building by the Social Democratic Party within the coalition government of Georgia after 26 may, 1918.

The main novelty of the research is that it tries to analyse the views of main political parties on a national question and an independent state in the context of theories of Otto Bauer and Karl Kautsky.

სარჩევი

შესავალი 5

თავი პირველი. თეორიული ნაწილი. 10

1.1 თეორიული ჩარჩო 10

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა 14

თავი მეორე. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 21

2.1 ისტორიული კონტექსტი 21

2.2 ნაციონალური საკითხი ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში: პოლიტიკური ავტონომია 23

2.3 ნაციონალური საკითხი ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში: კულტურული მოდელი და თვითმმართველობა 25

2.4 რევოლუცია და ეროვნული ყრილობა 31

თავი მესამე. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო 37

3.1 ეროვნული სახელმწიფოს იდეის გაგება 37

3.2 სახელმწიფოს საფუძველი: დემოკრატიული რესპუბლიკა 40

დასკვნა 44

ბიბლიოგრაფია: 46

შესავალი

1918 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო პოლიტიკური ძალა, რომელიც დამოუკიდებლად არსებობის 120 წლიანი წყვეტის შემდეგ საქართველოში პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა. ერთიან ორგანიზაციად არსებობის თითქმის 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში(პარტია სათავეებს 1892 წელს მესამე დასის დაარსებიდან იღებდა) დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხი პარტიისთვის პრიორიტეტული არ ყოფილა და დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სულ რამდენიმე თვით ადრეც კი პარტიის წევრთა უმრავლესობა არ ემხრობოდა ეროვნული ნიშნით გამოკვეთილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებას.

ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოში პირველ მარქსისტულ ძალას წარმოადგენდნენ და უმთავრესად, მათ მიზანს საქართველოსა და რუსეთში სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა წარმოადგენდა, საკუთარ თავს კი პირველ რიგში მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველ და დამცველ ძალად მიიჩნევდნენ. კარლ კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ დაწერილ მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატები პარადოქსულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, უწევდა რა სოციალისტურ მთავრობას კაპიტალიზმის განვითარება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. (2018, გვ. 107) ერთი შეხედვით, ასევე პარადოქსული იყო ისიც, რომ სოციალისტურ მთავრობას საქართველოში პირველი ნაციონალისტური პროექტის სისრულეში მოყვანაც მოუწია.

საინტერესოა, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობა მისი დაცემიდან ათწლეულების შემდეგაც არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი, თუმცა როგორც წესი მისი მომდევნო გახსენებები არც ისე პოზიტიური იყო ხოლმე. საბჭოთა დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას ბრალს სდებდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან კავშირსა და ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის მიმართ კეთილგანწყობაში. (ირემაძე, 2021) მიუხედავად იმისა, რომ ამ 70 წლიანი მივიწყებისა და დისკრედიტაციის შემდეგ 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციას დაეფუძნა, ამ შემთხვევაში ეს უფრო ფორმის მიდევნება

აღმოჩნდა, ვიდრე შინაარსის, რაც მომდევნო წლებმა და ათწლეულებმაც აჩვენა. (ლი 2018, გვ. 10) პოსტსაბჭოთა საქართველოს პოპულარულ წრეებში ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის დომინირების პირობებში პირველი რესპუბლიკის გახსენება ან ფასადურად ხდება, როგორც რამდენიმე საუკუნიანი წყვეტის შემდეგ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოსი, ან პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმის დისკურსში, რომლის მიხედვითაც, სოციალ დემოკრატთა ხედვები ეროვნულ საკითხთან მიმართებაში „ერის ღალატად“ ფასდება. (ირემაძე, 2021)

უკანასკნელ წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევამ უფრო ხშირი სახე მიიღო. 2018 წელს, რესპუბლიკის გამოცხადების ასი წლის თავი არაერთი კვლევითა და ნაშრომით აღინიშნა. წინამდებარე კვლევაც წარმოადგენს მცდელობას იკვლიოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის იდეური წინაპირობები და პირველი რესპუბლიკის მოწყობის მოდელი ერი-სახელმწიფოს კონცეფციის კონტექსტში.

შესაბამისად კვლევის **მიზანია** ერთი მხრივ, მეოცე საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პარტაითშორისი და შიდაპრტიული პოლემიკის საფუძველზე გამოკვეთოს ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და იმ ხანის სხვა პოლიტიკური პარტიების ხედვები ეროვნული საკითხისადმი და მიაგნოს ამ ხედვის ცვლილების მიზეზს, ხოლო მეორე მხრივ, აჩვენოს ის ძირითადი თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც განაპირობებდა საუკუნეების შემდეგ აღდგენილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს.

როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკის მმართველი პარტია, რომელსაც უდიდესი საზოგადოებრივი მხარდაჭერა ჰქონდა, საქართვეოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე მხარს არ უჭერდა საქართველოს დამოუკიდებელ ერი-სახელმწიფოს ჩარჩოში გამოყოფას რუსეთისაგან და დასაშვებად მხოლოდ კულტურული ავტონომიის მოპოვებას მიიჩნევდა. შესაბამისად ნაშრომის პირველი საკვლევი კითხვა იქნება, ის თუ რა განაპირობებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხედვის ცვლილებას?

პირველი ჰიპოთეზა ასე ჩამოყალიბდა: საქართველოსთვის კულტურული ავტონომია ვერ უზრუნველყოფდა პოლიტიკური თვითმმართველობის განხორციელებას.

ნაშრომის მეორე საკვლევი კითხვა შემდეგია: რა ფაქტორები განაპირობებდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძვლებს? ხოლო **მეორე ჰიპოთეზა** ასე ჩამოყალიბდა: საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმთავრეს საფუძველს დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელი წარმოადგენდა.

ცვლადების კონცეპტუალიზაცია

კულტურულ ავტონომიაში ვგულისხმობთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მხარდაჭერილ მოდელს, საქართველოს მომავალი მოწყობისა დემოკრატიული რუსული სახელმწიფოს შიგნით. კულტურული ავტონომიის შესახებ საკუთარ ნაწერებში კარლ რენერი და ოტო ბაუერი საუბრობენ, ვისი მიხედვითაც კულტურული ავტონომია გულისხმობს ერთიანი სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვადასხვა ერებისთვის კულტურულ საკითხში გადაცემულ თვითმმართველობით უფლებებს. (Czerwińska-Schupp, 2016) ეს მოიცავს ერის მშობლიურ ენისა და ზოგადად მისი კულტურის განვითარებას. კულტურული ავტონომიის მქონე ერთეულს არ გააჩნია ტერიტორიული ავტონომია და პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში ის მთლიანად დაქვემდებარებულია ერთიანი სახელმწიფოს ცენტრალურ პოლიტიკას.

პოლიტიკური თვითმმართველობაში ვგულისხმობთ ტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური ერთეულის მიერ საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების უფლებამოსილებას. ეს გულისხმობს ერის სუვერენულ უფლებას მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ ცნობარში **სახელმწიფო** განმარტებულია, როგორც „პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამა თუ იმ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.“ (სახელმწიფო, 2004) ხოლო მისი მთავარი ნიშნები მოიცავს სუვერენიტეტს, ტერიტორიას, მოსახლეობას, დიპლომატიურ აღიარებას, შიდა სახელისუფლებო ორგანიზაციასა და მოსახლეობის ნდობას საკუთარი ქვეყნისადმი. 1918 წლის 26 მაისს დაფუძნებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სწორედ ამ ნიშნებით დაფუძნდა, ხოლო დამოუკიდებლობის არასრული სამი წელი მოხმარდა იმ ნიშნების დაფუძნებისა და

განმტკიცებისთვის შრომასა და ბრძოლას, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკას ჯერ არ გააჩნდა.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვგულისხმობთ სახელმწიფოს მოწყობის ისეთ პოლიტიკურ ფორმას, რომელშიც ძალაუფლება მისი მოქალაქეების ხელშია და ის ამ ძალაუფლებას პარლამენტის საშუალებით, წარმომადგენლობითი პრინციპით ახორციელებს. კარლ კაუცკი დემოკრატიული რესპუბლიკის დამახასიათებელ უმთავრეს ნიშნებად გამოყოფს ხმის მიცემის საყოველთაო უფლებას, ფარული კენჭისყრის არსებობას, ასევე პრესის, სიტყვის, შეკრებისა და გაერთიანების სრულ თავისუფლება. (2019, გვ. 139)

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა საკვლევი საკითხის გარშემო აქამდე შექმნილი ისტორიული და სამეცნიერო ნაშრომები. თვისებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე შესწავლილ იქნა და შინაარსობრივად გაანალიზდა მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულის ქართულ პარტიებს შორის მიმდინარე პოლემიკა ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული სახელმწიფო პროგრამები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი პერიოდული პრესა. ამან საშუალება მოგვცა ერთი მხრივ გამოვკეთა პარტიათა დამოკიდებულება ეროვნული საკითხისა და პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მიმართ, მეორე მხრივ კი გაგვეანალიზებინა ის სათანადო ისტორიულ კონტექსტში.

გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო და ისტორიული ლიტერატურისა. ამ ლიტერატურის საფუძველზე ასევე გამოყენებული იყო ე.წ. „თოვლის გუნდის პრინციპი“ შემდგომი საკვლევი მასალის მოძიებისთვის.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი სამი თავისგან შედგება. პირველი თავში წარმოდგენილია თეორიული საკითხები, თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა. მეორე თავში მიმოხილულია ის ძირითადი ხედვები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის გამოცხადებამე არსებობდა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში, ასევე საუბარია ისტორიულ კონტექსტზე. ნაშრომის მესამე თავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობის ფორმის განსაზღვრას ეთმობა.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა ძირითადად თეორიულ ასპექტებზე კონცენტრირდება, ისტორიულ და პრაქტიკულ საკითხებში, ის სხვა კვლევების შედეგებს და ამდენად მეორეულ წყაროებს ეყრდნობა. ეს კვლევის მთავარ შეზღუდულობას წარმოადგენს.

თავი პირველი. თეორიული ნაწილი.

1.1 თეორიული ჩარჩო

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ ცნობარში ერი-სახემწიფო განმარტებულია, როგორც "მთავარი პოლიტიკური ერთობა თანამედროვე მსოფლიოში და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორი. … ე-ს-ს ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა, როცა ეთნოკულტურული ერთობები ერებად ჩამოყალიბდნენ და ერთიან პოლიტიკურ ერთობად ყოფნის აუცილებლობა გააცნობიერეს. ე.-ს-ს მნიშვნელობისათვის განმსაზღვრელი აზრი აქვს ორი ტერმინის, ერისა და სახელმწიფოს შეკავშირებას. როგორც წესი, ე.-ს-ს ცნებაში იგულისხმება ის, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა ერთი ერის წარომადგენელია." (ერი-სახელმწიფო, 2004)

ამ განმარტებაში ნაციონალიზმის შესახებ არსებული ორი ძირითადი თეორიაა გაერთიანებული, ერთი მხრივ მხრივ მოდერნისტული თეორია, მეორე მხრივ ენტონი სმითის ეთნოსიმბოლიზმი. პირველი ერებს თანამედროვე ფენომენებად განიხილავს და მათ ნაციონალიზმის, ერის აღმშენებლობისკენ მიმართული პოლიტიკური მოძრაობების პროდუქტად მიიჩნევს, რაც თავის მხრივ ძირითადად ისეთი მატერიალური ფაქტორებითაა განპირობებული, როგორიცაა იდნუსტრიალიზაცია და ეკონომიკური და პოლიტიკური მოდერნიზაცია. ამ თეორიის მიხედვით ერი შემთხვევითი გაერთიანებაა, რომლადაც ნებისმიერი საზოგადოებრივი ერთობა შეიძლება იქცეს შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების განვითარების შემთხვევაში. შესაბამისად ერი უწინარესად პოლიტიკურ ერთობას წარმოადგენს და აერთიანებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქედ მიიჩნევს, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა. ამის საპირისპიროდ, სმითი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ერების ჩამოყალიბებას წინ უსწრებს ეთნიკური ჯგუფების არსებობა, რომლებიც ისეთი კულუტურული ელემენტებით არიან შეკავშირებული, როგორიცაა საერთო ენა, მითები და ტრადიციები. (სმითი, 2004)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელისა მისი დაფუძნების წინაპირობების გაანალიზებისას ერი-სახელმწიფოს სწორედ ამ ორმაგ განმარტებას

დავეყრდნობით. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს თეორიები დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან გაცილებით უფრო გვიანაა შექმნილი, უმჯობესად მიგვაჩნია მხედველობაში მივიღოთ ნაციონალური საკითხისა და ერი-სახელმწიფოების ფორმირების გარშემო არსებულ ის თეორიებიც, რომლებიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიულ კონტექსტს მეტად შეესაბამება და რომლებსაც გავლენაც ჰქონდათ იმ პერიოდის პოლიტიკურ პარტიებზე.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მარქსისტულ იდეოლოგიაზე იდგა, მათთვის ეროვნულ საკითხთან მიმართებითაც გადამწყვეტ ფაქტორს სწორედ ნაციონალიზმისა და სახელმწიფოს მარქსისტული გაგება წარმოადგენდა. თავად მარქსს ნაციონალიზმის შესახებ ჩამოყალიბებული თეორია არასდროს შეუქმნია, თუმცა მის ნაწერებში იკვეთება ორი ძირითადი პარადიგმა, ერთი ადრეული, რომლის მიხედვითაც ერებს შორის არსებული სხვაობები პრემოდერნულ ფენომენებს მოიცავს, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ნელა-ნელა ქრება და შესაბამისად ნაციონალიზმი მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში მნიშვნელობას დაკარგავს. მეორე პარადიგმის მიხედვით, მარქსი, დაინახა რა ეროვნული მოძრაობების გავლენა 1848 წლის რევოლუციების პროცესში, ნაციონალიზმს უფრო პოზიტიურად უყურებს და მხარს უჭერს მის გამოყენებას ინსტრუმენტული მიზეზებიდან გამომდინარე. ამ გაგებით, მარქსს ნაციონალიზმი უკვე მოდერნულ მოვლენად მიაჩნია, რომელიც ერების შეკავშირებითა და აღმშენბლობით ხელს უწყობს კაპიტალიზმის ჰომოგენურ განვითარებას. (Avineri 1991, გვ. 640) თუმცა მარქსი აქ მაინც უფრო მეტად ნაციონალიზმის შემაკავშირებელ ეფექტზე საუბრობს, ისეთზე როგორიც მას იტალიისა და გერმანიის ერთიან სახელმწიფოებად ჩამოყალიბების პროცესში ჰქონდა და არა მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

ამ კუთხით, ნაციონალური საკითხის გარშემო საინტერესო თეორია ჩამოაყალიბეს ავსტრიელმა მარქსისტებმა კარლ რენერმა და ოტო ბაუერმა. ცდილობდნენ რა იმხანად მრავალეთნიკური ავსტრიის იმპერიაში ერთი მხრივ ადეკვატური პასუხი ეპოვათ იმპერიაში შემავალი ერების თვითგამორკვევის მოთხოვნილებაზე, მეორე მხრივ კი ავსტრიის იმპერიის პოლიტიკური ერთიანობაც შეენარჩუნებინათ, რენერმა და ბაუერმა ერთმანეთისგან გააცალკევეს ერისა და სახელმწიფოს გაგება. მათი თეორიის მიხედვით,

შესაძლებელი იყო ერთიანი პოლიტიკური ერთეულის შიგნით გვერდიგვერდ ეარსება რამდენიმე ერს, ისე რომ ამ ერების კულტურული და პოლიტიკური ჩაგვრა აღმოფხვრილიყო, რასაც ერებისთვის კულტურული ავტონომიის მინიჭება უზრუნველყოფდა. (Czerwińska-Schupp 2016, გვ. 119)

მოგვიანებით ეროვნული საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით ბაუერისა და რენერის იდეებს გამოეხმაურა კარლ კაუცკი. კაუცკი იზიარებს ოტო ბაუერის ხედვებს ეროვნული საკითხის შესახებ, თუმცა აკრიტიკებს კიდეც მას ეროვნულ საკითხში კულტურული ფაქტორებისადმი ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭების გამო. კაუცკის აზრით, ერის კონსოლიდაციაზე ენაზე არანანაკლებ დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიული საკითხები. (Kautsky 2009 [1908], გვ. 380)

ბაუერიც და კაუცკიც თანამედროვე ერის ჩამოყალიბებას ისევე უყურებენ, როგორც მოგვიანებით გელნერი და სხვა მოდერნისტი ავტორები შეაფასებენ ამას, აქცენტს აკეთებენ რა ერთი მხრივ ეკონომიკურ პოლიტიკურ ფაქტორებზე, მეორე მხრივ ნაციონალისტურ კულტურულ პროექტზე, რომელიც ერთიანი სალიტერატურო ენისა და საერთო ლიტერატურის შექმნას გულისხმობს, თუმცა მიიჩნევენ, რომ ამ ნაციონალურ პროექტზე პირველ რიგში პასუხისმგებელი ბურჟუაზიაა. ხოლო იმისთვის ეს რომ ეს ნაციონალური პროექტი ბოლომდე შედგეს, ბაუერისა და კაუცკის მიხედვით, აუცილებელია მისი გადატანა ერის უმრავლესობამდე, მუშათა კლასამდე. ამიტომ კუაცკის თქმით, ეროვნული საკითხის საბოლოოდ გადაჭრის ერთადერთი შესაძლებლობა სოციალიზმშია.

ბაუერის კაუცკისეული კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ბაუერი ეროვნული საკითხის გადაჭრას მრავალეთნიკურ სახელმწიფოში გარკვეულწიად მაინც მიამიტურად უყურებს. კაუცკის შენიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად პარლამენტარიზმის განვითარება კიდევ უფრო ართულებს ავსტრიის იმპერიის მსგავს იმპერიალისტურ სახელმწიფოში პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნებას, ვინაიდან სხვადასხვა ერების პროლეტარიატი საკუთარ ბრძოლას გათავისუფლებისკენ საკუთარ კულტურულ კონტექსტის გათვალისწინებით აწარმოებს, საკუთარ ენაზე, უცხოურ ბიუროკრატიასთან მუდმივი დაპირსპირება კი მას სულ უფრო მეტად უბიძგებს

გამოყოფისკენ. კაუცკი ასკვნის, რომ პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის ეპოქაში სახელმწიფოს ერის საფუძველზე უნიტარული ფორმით ჩამოყალიბება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ბიუროკრატიული აბსოლუტიზმის დროს იყო. (Kautsky 2010 [1908], გვ.148)

შესაბამისად კაუცკი მხარს უჭერს მუშათა კლასის ბრძოლას პოლიტიკური უფლებებისთვის სწორედ ეროვნულ ნიადაგზე. პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა კი, მისი თქმით, შესაძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველზე, პარლამენტარიზმის საშუალებით. კაუცკი ეწინააღმდეგება სოციალისტური მოძრაობის უფრო რადიკალურ ფრთას, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის წინაპირობად სახელმწიფოს ინსტიტუციურ მოსპობას სახავს და დასაშვებად მიიჩნევს მუშათა კლასის ბრძოლას დემოკრატიული სახელმწიფოს შიგნით, პარლამენტარიზმის საშუალებით. თავის ესეში „პარლამენტარიზმი და მუშათა კლასი“ კაუცკი აღნიშნავს:

> „პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში მუშათა კლასის უმთავრესი ამოცანა წარმომადგენლობითი სისტემის აღმოფხვრა კი არაა, არამედ უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს პროლეტარიატისთვის პარლამენტისაკენ მიმავალი ყველაზე ფართო შესაძლო გზის გაკვალვაში ხმის მიცემის საყოველთაო უფლებით, ფარული კენჭისყრის უფლების დაცვით, მოკლე საპარლამენტო ვადებით და პრესის, შეკრებისა და გაერთიანების სრული თავისუფლებით.“ (2019, გვ. 139)

კაუცკის თქმით, თუკი ამგვარ დემოკრატიულ პირობებში პროლეტარიატი იქამდე გაძლიერდება, რომ აღნიშნული თავისუფლებებით ძალაუფლების მოპოვება შეძლოს, მაშინ კაპიტალისტურ დიქტატურას გაუჭირდება იმგვარი ძალის მოძებნა, რომლითაც დემოკრატიას კვლავ შეზღუდავს. (Kautsky, 1918, თავი II) ხოლო დემოკრატიული რესპუბლიკა, კაუცკის თქმით წარმოადგენს წინაპირობას მომავალი სოციალური რესპუბლიკისა, სადამდეც საზოგადოება პროლეტარიატის დიქტატურამ უნდა მიიყვანოს, თუმცა იმავე „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელით გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც რუსეთში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების კონცენტრაციის კონტექსტში დაიწერა კაუცკი აღნიშნავს რომ „პროლეტარიატის დიქტატურა სხვა

არაფერია თუ არა, პროლეტარიატის მმართველობა დემოკრატიულ საფუძველებზე.“ (Kautsky, 1918, ციტირებული: Thompson, 2019, გვ. 167)

ბოლოს კაუცკი განმარტავს თუ რატომაა ოპტიმალური სახელმწიფო მოწყობის ფორმად პარლამენტარიზმზე დაფუძნებული დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელი და არა აუცილებლად მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობა, რომელიც უფრო პოპულარული რუს ბოლშევიკებში იყო, თუმცა რისი რეალური პრაქტიკული განხორციელებაც ვერასდროს მოხერხდა. კაუცკის აზრით, „მოქალაქეთა პიდრაპირი მონაწილეობა კანონშემოქმედებაში მხოლოდ მეტ გარუკვევლობასა და დაბრკოლებებს შეიტანდა. ... იქ სადაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ პარლამნეტში მოსახვედრად იბრძვის.“ (Kautsky, 2019, გვ. 139) კაუცკი მიიჩნევს, რომ იმ ქვეყნებში სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ საკმარისად დამკვიდრებული არაა მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონსოლიდაციას შეუშლიდა ხელს და მოქალაქეებში გაერთიანების ნაცვლად მათ დაყოფას გამოიწვევდა.

როგორც მოგვიანებით ვნახავთ, საქართველოს სოციალ-დემორკატიული პარტია საქართველოს ეროვნულ ყრილობაში შემავალ სხვა პარტიებთან ერთად დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებისას სწორედ კაუცკის მიერ დასახელებული ხმის მიცემის საყოველთაო უფლების, მოკლე საპარლამენტო ვადებისა და პრესისა და გაერთაიენბის თავისუფლების პრინციპებით იხელმძღვანელებს. ისინი მხედველობაში მიიღებენ ასევე კაუცკის დაკვირვებებს მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით.

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა მმართველობის პერიოდში საქართველოში პირველი რესპუბლიკის შესახებ თითქმის არაფერი იწერებოდა, ხოლო რაც იწერებოდა, მთლიანად უარყოფით კონტექსტში. ამ პერიოდში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობა შეფასებული იყო, როგორც კონტრრევოლუციური, ხოლო 1921 წელს რუსეთის წითელი არმიის მიერ ქვეყნის დაპყრობა, წარმოჩენილი იყო, როგორც საქართველოს მოსახლეობის აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობა ამგვარი ტენდენციური შეფასებებისგან თავისუფალი არც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ყოფილა. როგორც ირაკლი ირემაძე აღნიშნავს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ერთი მხრივ პოსტსაბჭოთა პერიოდში გაჩენილ ნაციონალისტურ წრეებში არასაკმარის პატრიოტიზმსა და ანტიქართულ საქმიანობაში სდებენ ბრალს, მეორე მხრივ კი საქართველოში ჩამოყალიბებული ნეოლიბერალული პოლიტიკური ელიტისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახენება არც ისე მომგებიანია, გამომდინარე პირველი რესპუბლიკის ძლიერი სოცილაური პოლიტიკიდან. ავტორის თქმით, საქართველოს დმეოკრატიული რესპუბლიკა ევროპული სახელმწიფოს აღმშენებლობის იმდენად მყარ მოდელს გვთავაზობს, რომ მისი ღირებულებითი ჩარჩო თავად ევროპული სახელმწიფოებისთვის წარმოადგენდა ამგვარ მოდელს, თუმცა თანამედროვე საქართველოში მისი ადეკვატური გააზრება არ ხდება. (ირემაძე, 2018)

ამ მხრივ საინტერესო მცდელობას წარმოადგენს ბრიტანელი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის ერიკ ლის ნაშრომი *ექსპერიმენტი*, სადაც ავტორი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სწორედ სოციალისტურ ექსპერიმენტად განიხილავს. მისი შეფასებით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია სწორედ მარქსის იდეების ერთგული მიდევნებით აფუძნებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს, სახელმწიფოს ერთადერთ ფორმას, რომლის საშუალებითაც ერი-სახელმწიფოს საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მომავალი სოციალიზმის მშენებლობა. (ლი 2018, გვ. 148) ავტორი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს რესპუბლიკაში არსებულ ძლიერ დემოკრატიულ პრაქტიკებს და წარმოაჩენს მას, როგორც პრაქტიკაში განხორცეილებულ რეალურ ალტერნატივას ბოლშევიკური რუსეთისა და შემდგომში საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისა. (იქვე, გვ. 306)

ლი ასევე გამოყოფს იმ სირთულეებს, რომლებიც პარტიას სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ხვდებოდა და დადებითად აფასებს პარტიის უნარს პრაგმატულად გაეაზრებინა მის წინაშე არსებული პრობლემები და სოციალური გარდაქმნის ის თავისებურებები, რომლებსაც მათ მარქსისტული პროგრამა ვერ შესთავაზებდა. ამის სადემონსტრაციოდ

წარმოჩენილია აგრარული რეფორმა, რომლის გატარების დროსაც პარტიას რამდენჯერმე მოუწია არჩეული კურსის გადახედვა ეკონომიკური პირობებიდან და საზოგადოებაში არსებული განწყობებიდან გამომდინარე. პარტიის „აქილევსის ქუსლადაა“ შეფასებული ეროვნული უმცირესობების საკითხი, თუმცა ლი მიიჩნევს, რომ მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, პარტიამ მაინც სახელმწიფოს ერთიანობის უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედა, ისე რომ ეროვნული უმცირესობებისთვის ფუნდამენტური უფლებები გარანტირებული ყოფილიყო.

ქართველი სოციალ-დემოკრატების წინაშე მდგარ ეროვნულ საკითხზე უფრო ამომწურავად საუბრობს სტივენ ჯონსი თავის ნაშრომში *სოციალიზმი ქართულ ფერებში.* აქ წარმოჩენილია ის ძირითადი დავები რაც ქართველ მენშევიკებსა და სხვა სოციალისტურ პარტიებს შორის მიმდინარეობდა ეროვნულ საკითხთან და საერთოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირების იდეასთან დაკავშირებით არამარტო დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სანამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ჯერ კიდევ რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში ირიცხებოდნენ.

ჯონსი აღნიშნავს, რომ მიუხედავად რუსულ პარტიაში 15 წლიანი თანაარსებობისა, ქართველ სოციალ დემოკრატებს ბოლომდე თანხმობა არც ბოლშევიკებთან ჰქონიათ და არც რუს მენშევიკებთან. პირველთაგან მათ დემოკრატიის გაგება განასხვავებდა. ჟორდანია ჯერ კიდევ 1903 წლიდან უპირისპირდებოდა დემოკრატიის ლენინისეულ ცენტრალიზმისკიენ მიმართულ გაგებას და მხარს უჭერდა პარტიულ და ზოგადად პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშათა აქტიურ ჩართულობას და მონაწილეობას. (ჯონსი, 2007, გვ. 144) ჯონსის თქმით, ქართველ სოციალ-დემოკრატებს თავიდანვე სწამდათ პოლიტიკის საყოველთაო ხასიათისა და მისი აზრით, ის უმთავრესი მიზეზები, რამაც საქართველოში მენშევიკებს ბოლშევიკებზე გავლენა მოაპოვებინა მენშევიკების მხრიდან მესამე დასის იდეების, მუშებისთვის ძალაუფლების მინიჭების პრინციპის და ცენტრის ადგილობრივ საქმეებში ჩარევის მიუღებლობის, დამსახურება იყო და არა რუსი მენშევიკებისსადმი ერთგულება და მათი მხარდაჭერა. (იქვე, გვ. 156)

მენშევიკებთან უთანხმოების მიზეზს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. იმის ფონზე, რომ რუსი მენშევიკების ლიდერები სრულიად უგულებელყოფდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების კულტურულ საჭიროებებს, ქართველ მენშევიკებს ხშირად სრულიად მარტო უხდებოდათ ხოლმე პარტიის ამ ფრთის პოზიციების დაცვა. ჯონსი ქართველი სოციალ-დემოკრატების რიგებში არსებულ პოზიციათა სხვადასხვაობასაც განიხილავს ეროვნულ საკითხთან მიმართებით და ოთხ ძირითად მიმართულებას გამოყოფს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით ყველაზე რადიკალურად მემარჯვენე პოზიციაზე მდგომნიც კი მხარს მხოლოდ საქართველოსთვის ერთიანი დემოკრატიული რუსეთის შიგნით ავტონომიის მინიჭებას უჭერდნენ და არა ქვეყნის დამოუკიდებლობას. (იქვე, გვ. 288)

უფრო გვიანდელ ნაშრომში ჯონსი აღნიშნავს, რომ ქართველ სოციალ დემოკრატებს საკუთარი ეორვნული პროგრამა ჰქონდათ, რომელიც განსხვავდებოდა როგორც რუსი ბოლშევიკების პროგრამისაგან ისე მენშევიკების ხედვებისაგან ეროვნულ საკითხზე. ჟორდანიასა და სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფას ის პრაგმატულ ნაბიჯად აფასებს და ამბობს, რომ ჟორდანია ნაციონალისტი არასდროს ყოფილა, თუმცა მას სჯეროდა ქართველი ერის კონსოლიდაციის და ეს აუცილებელადაც მიაჩნდა, საქართველოს ეროვნული არსებობის შესაძლებლობის გადარჩენისათვის. ქართველი სოციალ დემოკრატები ნაციონალისტურ პოლიტიკას არასდროს ატარებდნენ, თუმცა მათ ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი ერების თავისუფალი არსებობის საფუძველზე ესმოდათ. (Jones, 2015, გვ. 36)

ჯონსის აზრით, სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ე.წ. „მესამე გზის“ მხარდამჭერ პარტიად იქცა, ორთოდოქსულ მარქსიზმსა და უფრო პრაგმატულ სოციალ-დემოკრატიულ მოდელს შორის. ერთი მხრივ მათ სწამდათ სახელმწიფოს აქტიური და წარმმართველი როლისა ეკონომიკაში, თუმცა მეორე მხრივ აფუძნებდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ფართო ასპარეზს აძლევდა რესპუბლიკის მოქალაქეებს ქვეყნის მართვაში მონაწილეობისთვის. (იქვე, გვ. 38)

ჯონსი სხვაგან ამ „მესამე გზას“ პრაგმატიზმით ნაკარნახევ კომპრომისს უწოდებს, რამაც მისი აზრით, რამდენადმე გადაახვევინა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თავისი ტრადიციული იდეოლოგიური ხაზიდან. (2014, გვ. 11) ჯონსი საუბრობს საქართველოს ეკონომიკურად ჩამორჩენილ მდგომარეობაზე, ასევე ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე რთულ ეკონომიკურ ვითარებაზე, რომელშიც საქართველოს მთავრობას უწევდა ქვეყნის აღმშენებლობა. თუმცა აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს სრულიად ჰქონდათ გაცნობიერებული იმ პერიოდის საქართველოს წინაშე მდგომი ეს პრობლემები. ჟორდანიამ და სხვა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 1905 წლის წარუმატებელი რევოლუციის შემდეგ უკვე გააცნობიერეს, რომ რუსეთში და შესაბამისად საქართველოშიც მომდევნო რევოლუცია ბურჟუაზიული უნდა ყოფილიყო, რასაც ქვეყნის ჩამორჩენილი მდგომარეობა უნდა აღმოეფხვრა. (ჯონსი, 2007, გვ. 252) ჟორდანია იმავე აზრზე იყო 1917 წელსაც, მხოლოდ არ თვლიდა, რომ ამ ბურჟუაზიულ რევოლუციას სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩაუდგებოდა სათავეში. 1920 წელს ჟორდანია აღნიშნავდა: „სოციალიზმი პირველად ვერც რუსეთში და ვერც საქართველოში ვერ აღმოცენდება. ის ჯერ დაწინაურებულ სახელმწიფოებში, ინგლისსა და საფრანგეთში უნდა გაჩნდეს. სანამ ეს მოხდებოდეს, ჩვენ ჯერ წარმოების ევროპული ძალები უნდა განვავითაროთ საქართველოში.“ (ჯონსი, 2014, გვ. 11)

ჯონსი პრაგმატიზმისკენ გადადგმული ამ ნაბიჯის ფონზე აფასებს სოციალ-დემოკრატების მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებულ პოლიტიკას და მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკები დიდწილად უფრო მეტად ობიექტური გარემოებებით წარმატებული არ აღმოჩნდა, ჯონსის თქმით, “სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური პოლიტიკა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის მხარდამხარ, ემთხვეოდა ისტორიულ ეპოქას და მიმართული იყო ეროვნული გათავისუფლებისა და კონსოლიდაციისკენ.” (იქვე, გვ. 12)

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საკითხები დეტალურადაა განხილული მალხაზ მაცაბერიძის სტატიაში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) და დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება“. (2014) ავტორის თქმით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს სახელმწიფო, რომელიც საშუალებას მისცემდა ფართო მასებს პოლიტიკაში მონაწილეობისა და ამ

მოდელს ყველა მაშინდელი პარტია ეთანხმებოდა. (Matsaberidze, 2014, გვ. 321) მაცაბერიძე სტატიაში მიმოიხილავს იმჟამინდელი ქართული პოლიტიკური პარტიების წინაშე მდგარ ამოცანებს დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა. ავტორი მიიჩნევს, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დემოკრატიის ერთგვარი ჰიბრიდული მოდელი შექმნა, რომელიც აერთიანებდა პარლამენტარიზმსა და პირდაპირი დემოკარტიის ელემენტებს. (იქვე, გვ. 329)

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, რაც კონსტიტუციით უნდა ყოფილიყო გამტკიცებული და რასაც უნდა უზრუნველეყო რესპუბლიკის მომავალი სიმტკიცე. ქართველი სოციალ-დემოკრატები სკეტპიკურად უყურებდნენ ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დანაწილების პრინციპს, მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ზედმეტად გაძლიერების თავიდან აცილება, ამიტომ საკანონმდებლო ხელისუფლების ხელში უნდა დარჩენილიყო რეალური ძალაუფლება, ხოლო თავად საკანონმდებლო ხელისუფლების კანონის ჩარჩოებში დარჩენა კონსტიტუციას უნდა უზრუნველეყო. სწორედ დემოკრატიულობის პრინციპისა დაცვითა და კონსტიტუციის ხანგრძლივი დროით უცვლელობისა და სიმტკიცის დაცვის პრინციპით იყო ნაკარნახევი მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ადგილობრივ დონეზე დარჩენა.

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საკითხები 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების პროცესის კვალდაკვალ დეტალურადაა განხილული მალხაზ მაცაბერიძის ნაშრომში „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია“. ავტორი კონსტიტუციას აფასებს, როგორც იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს საფუძველს და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯომარის პავლე საყვარელიძის სიტყვების დამოწმებით ხაზს უსვამს მის საყოველთაო ხასიათს. (მაცაბერიძე, 2021, გვ. 17) ავტორის თქმით, 1921 წლის კონსტიტუტიცია წარმაოდგენდა დოკუმენტს, რომელიც მთელი ერისა და სახელმწიფოს კუთვნილება და გზისმიმცემი იყო და არა რომელიმე კლასისა, ან პარტიისა.

ავტორი ასევე საუბრობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ეროვნული საკითხის მიმართ საკუთარი პოზიციების გადასინჯვაზე და ამ პროცესში ხაზს უსვამს ეროვნული სახელმწიფოს და დემოკრატიული პრინციპის განუყოფლობაზე. (იქვე, გვ. 21)

მაცაბერიძე გამოყოფს სამ ძირითად პრინციპს, ისტორიულ-სამართლებრივს, კულტურულ-პოლიტიკურს და დემოკრატიულ-რევოლუციურს, რის საფუძველზეც უნდა აღდგენილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა. სოციალ-დემოკრატები მესამე, ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე დაფუძნებულ პრინციპს უჭერდნენ მხარს, რაც მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. (იქვე, გვ. 22) თუმცა უნდა ჩავთვალოთ, რომ პარტიას ამგვარი ხედვისკენ საკუთარი იდეოლოგიური შეხედულებებისადმი სიმტკიცე უბიძგებდა. ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება თვითმიზანს არ წარმოადგენდა. მათთვის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობა იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თავისუფლებასა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალებას მისცემდა.

საბოლოო ჯამში, განხილული ლიტერატურა საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის როგორც სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გარშემო. ლიტერატურაში განხილულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხედვები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ასევე გამოკვეთილია ამ სახელმწიფოს მოდელი და ხაზგასმულია დემოკრატიის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. პოლიტიკურთან ერთად გაანალიზებულია სახელმწიფოს ეკონომიკური მოდელიც.

თავი მეორე. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე

2.1 ისტორიული კონტექსტი

1801 წლიდან, მას მერე რაც რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოების ანექსირება მოახდინა, საქართველო რუსეთის იმპერიაში შემავალ პროვინციულ სუბიექტს წარმოადგენდა. მრთალია ეს საქართველოს სხვა იმპერიების თავდასხმისგან იცავდა, თუმცა ქვეყანაში დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური თვითმმართველობის ტრადიცია დაიკარგა. პრობლემას წარმოადგენდა ერთიანი კულტურული სივრცის არარსებობაც. ქართვულმა არისტოკრატიამ იმპერიის შიგნით წარმატებით მოახერხა ახალ სისტემაში ინკორპორირება. ისინი ცარისტული რუსეთის არმიაში კარიერული წინსვლისთვის იბრძოდნენ, რასაც მათთვის კეთილდღეობა მოჰქონდა. სტივენ ჯონსის ცნობით, 1870 წლისთვის ბევრი ქართველი თავადი უკვე რუსულ ენაზე საუბარს ამჯობინებდა და შვილებიც რუსულ სკოლებში დაჰყავდა. (2007, გვ. 20) იმპერიის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა უფრო დაბალი რანგის აზნაურობაც, გლეხობა კი ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც დაყოფილი იყო. (იქვე, გვ. 18)

მეორე მხრივ რუსეთის გამოჩენამ საქართველოს მოდერნიზებაც გამოიწვია. საქართველოში გაიხსნა სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები, ქართველ ახალგაზრდებს რუსეთის დიდ ქალაქებში განათლების მიღების საშუალება გაუჩნდათ, სადაც ისინი ევროპულ იდეებსაც ეცნობოდნენ. რუსული კოლონიალიზმის პერიოდში აშენდა ამიერკავკასიის რკინიგზა, უფრო მოგვიანებით დაიწყო მოპოვებითი სამუშაოები ტყიბულსა და ჭიათურაში, გაიხსნა პირველი ქარხნები, ბათუმი მნიშვნელოვან საპორტო ქალაქად იქცა. თუმცა ჯონსის შეფასებით, 1917 წლამდე, იმპერიის დაშლამდე, რუსეთმა საქართველო მხოლოდ „მოდერნულობის კიდემდე“ მიიყვანა. (2014, გვ. 2) მიუხედავად ყველაფრისა საქართველო მაინც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნად რჩებოდა. ქვეყანაში ინდუსტრია და წარმოების კაპიტალისტური წესი მხოლოდ მაშინ იდგამდა ფეხს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებული რეფორმის შემდეგ მიწის გარეშე გათავისუფლებული გლეხები მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ.

1860-იან წლებში რუსულ იმპერიასთან მეტ-ნაკლებად შერიგებულ ინტელიგენციას „თერგდალეულების“ სახელით ცნობილ ინტელექტუალთა ახალი თაობა დაუპირსპირდა, რომელიც საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამოსწორებას შეეცადა. სწორედ თერგდალეულთა თაობა იყო საქართველოში პირველი ნაციონალისტური პროექტის ავტორი. (ჩხაიძე, 2009) ჩხაიძე ამ მოძრაობას ნაციონალიზმის მოდერნიტული თეორიის ჭრილში აანალიზებს, რითიც აიხსნება მათ მიერ წამოწყებული საქმიანობა საქართველოს კულტურული აღორძინებისა და მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების მცდელობის კუთხით. „თერგდალეულები“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ერის მხოლოდ კულტურული ცხოვრების განვითარებაზე არ ზრუნავდნენ და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებიც ჰქონდათ დასახული. ისინი მხარს უჭერდნენ ეროვნულ თანხმობას და ქვეყნის დემოკრატიზაციას, ქართული ენის გავრცელებასა და დამკვიდრებას, მრავალ საკითხში გამოდიოდნენ რუსული იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ, თუმცა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის ან პოლიტიკური ავტონომიის საკითხი არასდროს დაუყენებიათ.

მიუხედავად ამისა მათი ძალისხმევით შექმნილი სკოლები, გაზეთები და ჟურნალები ქართველ ახალგაზრდებს განათლების მიღებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს აძლევდა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან გამოჩენილი უფრო რადიკალურად ნაციონალისტური ძალები, რომლებიც საქართველოსთვის უკვე პოლიტიკურ ავტონომიასაც ითხოვდნენ. მათ იდეურ წინაპრებად სწორედ თერგდალეულებს მიიჩნევდნენ. „თერგდალეულთა“ საქმიანობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ჯონსი მომავალი ქართველი სოციალ-დემოკრატების ჩამოყალიბების პროცესზე საუბრისასაც. მომავალი ქართველი სოციალისტები იმ კულტურულ გარემოში იზრდებოდნენ, რომელსაც თერგდალეულები ქმნიდნენ. ირაკლი წერეთლის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, მამა გიორგი წერეთელი, ვინც ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა თერგდალეულებსა და მომავალ მესამე დასასელებს შორის, მე-19 საუკუნის ბოლოს ეგნატე ნინოშვილს ასეთ წერილს სწერდა: „ჩვენ ეროვნული სოციალისტები უნდა ვიყოთ მანამ სანამ ჩვენსავით ჩაგრული ხალხები არ განთავისუფლებიან უფრო ძლიერი ხალხებისგან.“ (ჯონსი, 2007, გვ. 61)

ჯონსი აღნიშნავს, რომ „ქართული სოციალ-დემოკრატია „თერგდალეულთა“ იდეებზე აღმოცენდა. მასზე ძლიერი გავლენა მოახდინა თერგდალეულთა გატაცებამ ეროვნული ერთობის, ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური რეფორმის საკითხებით.“ (იქვე)

2.2 ნაციონალური საკითხი ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში: პოლიტიკური ავტონომია

როგორც აღვნიშნეთ, 1917 წლამდე, რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციამდე არცერთ ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებას საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია. თუმცა ეროვნული საკითხი მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში არაერთხელ გამხდარა პარტიებს შორის თუ პარტიებს შიგნით წამოწყებული დავის საგანი.

ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის საკითხი მთავარ მიზნად დაისახა 1904 წელს ჟენევაში შექმნილი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო. პარტია ერთდროულად აყენებდა ქართველი ხალხის წინაშე მდგარ სოციალურ საკითხებს და ეროვნული ავტონომიის პრობლემას, რომლის გადაჭრის გზასაც ფედერალიზმში ხედავდა. პარტიის მომავალმა ლიდერმა არჩილ ჯორჯაძემ ჯერ კიდევ 1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული სტატიებით მოუწოდა ქართულ პოლიტიკურ ძალებს გაერთიანებისა და საქართველოს ეროვნული განვითარებისთვის ბრძოლისკენ.

„საერთო მოქმედების ნიადაგით“ დასათაურებულ სტატიაში, ჯორჯაძე აღიარებს, რომ ქართული საზოგადოების კლასობრივ დაყოფას თავისი ობიექტური წინაპირობები აქვს, თუმცა მისი რწმენით, იმავე ქართულ საზოგადოებაში არსებობს პირობები და საჭიროება ამ კლასების საერთო მოქმედებისა. ჯორჯაძემ სამი საკითხი, გამოყო რომლის გარშემოც საქართველოში არსებულ სხვადასხვა „დასებს“ გაერთიანება და საერთო ბრძოლის წარმოება შეეძლოთ. ესენია „ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა.“ (ჯორჯაძე, 1911, გვ. 7-8)

ჯორჯაძის აზრით, ქართული ენის დაცვა და გადარჩენა მთელი ქართული ეროვნული ხასიათის გადარჩენის საწინდარია. ხოლო ვაჭრობა-მრეწველობის ეროვნულ ნიადაგზე შექმნა, კაპიტალიზმის განვითარებას გულისხმობს ნაციონალური მიმართულებით. ის ემხრობა განვითარებული სომხური ბურჟუაზიის ნაცვლად ეროვნებით ქართველი ვაჭრებისა და საქმოსნების გაჩენას და საჭიროდ მიიჩნევს ქალაქში ეროვნებით ქართველი მუშა-ხელის გამრავლებას, რაც, მისი თქმით, ერის „ეკონომიკური ევოლუციის“ წინაპირობას წარმოადგენს.

ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის პრაქტიკაში გატარება 1904 წელს სცადეს, როცა ჟენევაში ქართული რევოლუციური ორგანიზაციების კონფერენცია მოიწვიეს. კონფერენციის მიზანი ერთიანი პარტიის დაარსება იყო, რომელიც სხვა საკითხთა შორის დააყენებდა საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის საკითხს.

საქართველოს ავტონომიის საკითხი ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა პირველად 1903 წელს ცენზურისგან თავისუფალ პარიზში დაარსებულ გაზეთ „საქართველოში“ წამოჭრეს. გაზეთის პირველ ნომერში ნათქვამი იყო, რომ საქართველო კულტურულად და პოლიტიკურად მომწიფებულია საკუთარი ინტერესების წამოყენებისა და დაცვისთვის და მათი მიზანია ხელი შუეწყონ როგორც რუსეთის განთავისუფლების საქმეს ისე „საქართველოს ეროვნულ ვინაობის აღდგენას და განმტკიცებას.“ (ღია წერილი... , 1903)

ავტორები ითხოვდნენ ეროვნულ ავტონომიას, რომელიც საქართველოს შიდა საქმეებში დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მოპოვების საშუალებას მისცემდა. მათ ამგვარი ავტონომია დემოკრატიული რუსეთის შიგნით წარმოედგინათ, რომელსაც ფედერაციის სახე ექნებობდა, ხოლო ერთი ფედერალური ერთეული საქართველო იქნებოდა, თავისი კონსტიტუციით. პროექტის მიხედვით, საქართველო კავკასიის ფედერაციაში უნდა გაერთიანებულიყო, რაც საქართველოს და ფედერაციის დანარჩენ წევრებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას მისცემდა. „ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თვითეულ ერს, მხარეს და პრონვინციას

სრულ თვით-მოქმედებას ანიჭებს და მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენიმე მეზობელ ერს ერთ გამაერთიანებელ პოლიტიკურ მართველობის ფორმას აძლევს.“ - ნათქვამი იყო სტატიაში. („საქართველო და კავკასიის ფედერაცია“ , 1904)

მართალია რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო, რაც პირველ რიგში რუსეთზე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო დამოკიდებულებას გულისხმობდა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მომავალი ლიდერები ჯერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნას არ აყენებდნენ, თუმცა ეს მაინც არ იყო ბაუერისა და რენერის მიერ წამოყენებული იდეა სახელმწიფოსა და ერის გამიჯვნის და ერისთვის მხოლოდ კულტურული თვითმმართველობის უფლების გადაცემისა. გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე დაყენებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომიის მოთხოვნის საკითხი. ამასთან სტატიის ავტორებს გაცნობიერებული ჰქონდათ ერის კულტურული ერთიანობის და თვითმყოფადობის მნიშვნელობაც.

თუმცა აშკარა, იყო სტატიის ავტორებისთვის უმთავრეს მიზანს საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვება წარმოადგენდა და უფრო ნაკლებად კლასობრივ ბრძოლაში ჩაგრული კლასების ინტერესების დაცვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1904 წელს ჟენევაში რევოლუციური ორგანიზაციების კონფერენციაზე ჩასულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კონფერენცია მეორე დღესვე დატოვეს, მოგვიანებით კი ჟორდანიამ სოციალისტ-ფედერალისტთა ხედვები არაერთხელ გააკრიტიკა.

2.3 ნაციონალური საკითხი ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში: კულტურული მოდელი და თვითმმართველობა

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა 1918 წლამდე საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა, ისინი ბოლომდე მაინც არასდროს უარყოფდნენ ეროვნულ საკითხს. დღიდან დაარსებისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნული საკითხი პარტიაში ხშირი დისკუსიების თემას წარმოადგენდა და იმხანად არსებულ სხვა პარტიებთანაც არაერთხელ გამხდარა დაპირისპირების საგანი. ეროვნულ საკითხზე პარტიის ლიდერს, ნოე ჟორდანიას ჯერ

თერგდალეულთა ძველ თაობასთან ჰქონდა პოლემიკა, შემდეგ კი თერგდალეულების გავლენის ქვეშ მყოფ სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებთან. ეროვნულ საკითხთან მიმართებით ქართველ სოციალ-დემოკრატებს განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის შიგნითაც, როგორც ბოლშევიკებთან, ისე რუს მენშევიკებთან რომლის ნაწილად თავადაც ითვლებოდნენ. და ბოლოს, თავად ქართველ სოციალ-დემოკრატებშიც არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ამ თემასთან დაკავშირებით.

1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანებამ საქართველოს ეროვნული ავტონომიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაზარდა. მაგრამ პარტიაში არსებობდა ალტერნატიული ხედვებიც. სტივენ ჯონსის მიხედვით, ეროვნული საკითხის მიმართ ქართველ სოციალ-დემოკრატებში ოთხი ძირითადი მიმართულება იკვეთებოდა. მარცხნივ ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე იდგნენ, რომლებიც ეროვნულ საკითხს საქართველოსთვის უფრო მეტად კულტურულ პრობლემად განიხილავდნენ და მის გადაწყვეტას რუსეთის ერთიან დემოკრატიული სახელმწიფოს შიგნით ხედავდნენ. მარჯვენა ფრთაზე ვლადიმერ დარჩიაშვილი და ივანე გომართელი იდგნენ, რომლებიც საქართველოს ავტონომიას უჭერდნენ მხარს. (ჯონსი 2007, გვ. 287)

ზომიერ მემარჯვენე და მემარცხენე პოზიციებზე აკაკი ჩხენკელი და ნოე ჟორდანია იდგნენ. ჟორდანიამ 1908 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ გააკრიტიკა ფედერალისტთა მიერ მოთხოვნილი პოლიტიკური ავტონომიის იდეა. ჟორდანიას აზრით, საქართველოსთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭება კონკრეტული კლასის ინტერესს წარმოადგენდა და ეს კლასი თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია იყო. ჟორდანიას მტკიცებით, საქართველო არ წარმოადგენდა სხვა ევროპული სახელმწიფოების მაგალითს, სადაც ნაციონალისტური მოთხოვნები უკვე განვითარებულმა ბურჟუაზიამ დააყენა და ის პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლა, რაზეც სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბურჟუაზია იყო პასუხისმგებელი, მე-19 საუკუნეში რუსულმა იმპერიალიზმმა აიღო საკუთარ თავზე. მანვე გააუქმა საქართველოში ფეოდალური წყობა. ამიტომ ქართულ ნაციონალიზმს საქართველოს მოსახლეობის

უმრავლესობაში დასაყრდენი არ ჰქონდა და მისთვის უფრო პროგრესულ ძალას რუსეთი წარმოადგენდა. (ჟორდანია, 2015 [1908])

ჟორდანიამ ნაციონალური საკითხის გარშემო თავის მოსაზრებებს 1913 წლის ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ გადახედა და ის უფრო ვრცლად ჩამოაყალიბა. ჟორდანია აღარ იზიარებს იმ აზრს, რომ ეროვნული საკითხი ავტომატურად გადაწყდებოდა საერთო დემოკრატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად და აკრიტიკებს ამ მოსაზრების დამცველ სტალინს და სხვა ბოლშევიკებს. (ჟორდანია, 1922 [1913], გვ. 163) ჯონსის აზრით, აქ შეინიშნება ჟორდანიას გადანაცვლება უფრო მემარჯვენე პოზიციებზე. მართლაც, ჟორდანია ნაციონალური პრობლემატიკის საფუძვლად სახელმწიფოს შიგნით ერთი ერის მიერ სხვა ნაციების დაქვემდებარებულ მდგომარეობას მიიჩნევს და აღიარებს თვითგადარჩენისა და გამორკვევის აუცილებლობას ნებისმიერი ერისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ის მაინც აკრიტიკებს პოლიტიკური ავტონომიის იდეას, ის აყალიბებს ნაციონალიზმის ორგვარ გაგებას და მიჯნავს ტერიტორიულობაზე დაფუძნებულ ნაციონალიზმსა და კულტურულ ნაციონალიზმს. მათგან პირველს ის წარსული ეკონომიკური წყობის გადმონაშთად, მეფეთა და ფეოდალთა თვითმპყრობელობის გამოვლინებად მიიჩნევს, ხოლო მეორეს უკავშირებს თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას.

ჟორდანიას ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა ტერიტორიულობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩნია, რაც მისი აზრით გამოიწვევს ძალაუფლების ერებში გაბატონებული მდიდარი კლასების ხელში გადასვლას. ამის საპირისპიროდ ის მხარს უჭერს კულტურულ ნაციონალიზმს, რომლის გამოვლინებადაც ეროვნული ენის დაცვა და მისი გავრცელება მიაჩნია. მისი თქმით, „თანამედროვე ბრძოლა არსებობისთვის მოითხოვს დიდ მომზადებას და ენეგრიას. ხოლო მომზადება ერს შეულძია თავის ენაზე“. (იქვე, გვ. 174) განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და „ახალ ევროპიულ საარსებო პირობებში ჩადგომამ“ საჭირო გახადა განვითარება, მეტი ცოდნა და მეტი კულტურული მომზადება. შინაარსით ეს კულტურული მომზადება საერთაშორისოა, თუმცა თითოეული ერის კულტურული კონტექსტის შიგნით, ის ეროვნულ ხასიათსაც იძენს და ამის განხორციელების ერთადერთ საშუალებად ჟორდანიას ეროვნული(„მშობლიური“) სკოლის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და

მეცნიერების განვითარება მიაჩნია. აქვე ჟორდანია ასკვნის, რომ ამგვარად დასმული ნაციონალური კითხვა წარმოადგენს ერის წინაშე არსებულ საყოვლეთაო კითხვასაც. (იქვე, გვ. 169)

ჟორდანიასთვის ეროვნება სწორედ ამგვარი კულტურული აღორძინების შედეგად ყალიბდება, რასაც თავის მხრივ საფუძველი თანამედროვე მატერიალურ ფაქტორებში აქვს. ხოლო იმისთვის, რომ ერი თანამედროვე ეროვნებად ჩამოყალიბდეს აუცილებელია ის გაზიარებული იყოს ერის უმრავლესობის მიერ. ამიტომ ჟორდანია ეროვნული აღორძინებისთვის აუცილებელ პირობად სახავს არამხოლოდ კულტურის განვითარებას, არამედ რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის წვდომის გაზრდას ამ კულტურასა და განათლებაზე. ჟორდანიას თქმით, ვინც ამ პრინციპისთვის, კულტურულ ცხოვრებაში მეტი და მეტი ადამიანის შეყვანისთვის იბრძვის სწორედ ისინი არიან „ნაციონალური საქმის მოსამსახურენი“. (იქვე, გვ. 81)

ჟორდანიას მიაჩნია, რომ ამგვარი კულტურული და ეროვნული განვითარება უმთავრეს ინტერესს პროლეტარიატისთვის წარმოადგენს, ვინაიდან პროლეატრიატს არ გააჩნია სხვა რაიმე საშუალება, რომლითაც საკუთარ ინტერესებს დაიცავდა. ის სწორედ ამ საერთო კულტურის შიგნით შეკავშირებითა და მასში კლასობრივი ინტერესის წამოყენებით მოახერხებს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას. საინტერესოა, რომ ჟორდანია აქ მხოლოდ კლასიკური გაგებით პროლეტარიატზე აღარ საუბრობს და მიაჩნია, რომ ამგვარი კულტურული განვითარება გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის, ქალაქად მცხოვრები დამოუკიდებელი ხელოსნების ინტერესის საგანსაც წარმოადგენს. ამ კუთხით ის ბოლშევიკურ მიდგომას ემიჯნება, რომელიც მანამდე არსებულ საერთო მარქსისტულ მიდგომას იზიარებდა გლეხობის *ა პრიორი* რეაქციონერულ ძალად შეფასების შესახებ.

ჟორდანიაზე და ქართველ სოციალ-დემოკრატებზე ამგვარი ხედვის ჩამოყალიბების პროცესში დიდწილად უნდა ემოქმედა ქართულ, კერძოდ გურიის გამოცდილებას, სადაც 1902-1906 წლებში აჯანყებულმა გლეხობამ წარმატებით მოახერხა თვითმმართველობის განხორციელება და ქართველ სოციალ-დემოკრატებთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ. გარკვეულწილად შეგვიძლია ეს მიდგომა ჟორდანიასეულ

„საერთო ნიადაგადაც“ დავსახოთ, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ ეს საერთო ნიადაგი მაინც მჭიდროდაა დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლასთან და გამორიცხავს ფეოდალურ და ბურჟუაზიულ კლასებთან თანამშრომლობას.

ბოლოს, ეს კულტურული ნაციონალიზმი მისივე თქმით ინტერნაციონალურია, ვინაიდან „ერთი ერის პროლეტარიატის ეკონომიკური ინტერესი მჭიდროდ შეკავშირებულია სხვა ერთა პროლეტარიატის ნაციონალურ კულტურასთან. თანხმობა ეკონომიკაში ბადებს თანხმობას ერთა შორისაც. აი ამაზეა აგებული პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი.“ (იქვე, გვ. 181) აქ ჟორდანია უბრუნდება პოლიტიკური ავტონომიის იდეას და კულტურული ნაციონალიზმის საპირისპიროდ სახავს. მისი აზრით, ავტონომიისა და დამოუკიდებლობის პრინციპით ახალწარმოქმნილ სახელმწიფოებში ძალაუფლება გაბატონებული კლასების ხელში აღმოჩნდება, ვინაიდან ყველა ერში ბატონობენ შეძლებული კლასები. ამიტომ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა იქნება ამ კლასების აღჭურვა ახალი იარაღით, რასაც ისინი სხვა ერების შესავიწროვებლად გამოიყენებენ.

აღსანიშავია, რომ მოგვიანებით გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში“, რომელიც რუსეთის პირველ რევოლუციამდე თარიღდება, ჟორდანია კიდევ უფრო კომპრომისულ პოზიციაზე დგას და უკვე საუბრობს ამიერკავკასიის ავტონომიურობის დასაშვებობაზე, თუმცა არ იზიარებს საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭების საჭიროებას. (ჟორდანია, 1922) ჟორდანია ასევე აღიარებს, რომ ეროვნულ პრინციპზე დაფუძნებული ავტონომიური მმართველობა ერთდროულად შეიძლება წარმოადგენდეს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესებს, თუმცა მიჯნავს მათ ინტერესებს. მიუხედავად ამისა, ის დასაშვებად მიიჩნევს ორი კლასის მიერ საერთო ბრძოლის წარმოებას თვითმმართველობის უფლებისათვის, თუ ამგვარი უფლება თვითმმართველობის ტერიტორიაზე სხვა ერების ჩაგვრას არ გულისხმობს.

1915 წელს ჟორდანიას წერილს თანაპარტიელი აკაკი ჩხენკელი გამოეხმაურა, რომელიც საკითხში კიდევ უფრო მემარჯვენე პოზიციაზე დგას. ჩხენკელი ერთი მხრივ აკრიტიკებს სოციალისტ-ფედერალისტებს, რომლებიც საქართველოსთვის ფედერაციული სუბიექტის სტატუსის მოპოვებას და შესაბამისად ტერიტორიული ავტონომიის

მოპოვებას უჭერენ მხარს, თუმცა აკრიტიკებს ჟორდანიასაც, ვისაც ხსენებულ ნაშრომებში ტერიტორიული პრინციპის გაკრიტიკებით, დაუშვებლად მიიჩნია ყველანაირი სახის ეროვნული ავტონომია საქართველოსთვის, ვინაიდან საქართველო ეთნიკურად ჭრელად დასახლებულ ტერიტორიად მიიჩნია.

ჩხენკელის აზრით, სოციალისტ-ფედერალისტთა პროექტმა, საქართველოში სახელმწიფოებრივი ნიშნების შემოტანისა მართლაც შეიძლება გამოიწვიოს ეროვნულ ნიადაგზე დაპირისპირება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებსა და ქართველებს შორის, ვინაიდან ფედერალისტთა მიერ შეთავაზებული მოდელი სახელმწიფო მოწყობისა ბურჟუაზიულია. (ჩხენკელი 2015 [1914], გვ. 61) ამიტომ ჩხენკელი ემიჯნება საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, თუმცა მისივე თქმით, ის მხარს უჭერს თვითმმართველობის იდეას.

ჩხენკელის თქმით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უნდა მოითხოვონ განსაკუთრებული უფლებრივი გარანტიები ამიერკავკასიასა და საქართველოში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ რუსეთისგან ბუნებით, ენითა და კულტურით განსხვავებულ ერთეულებს. მისი აზრით, სწორედ თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს ის, რასაც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ფედერალურ სუბიექტად ან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევა. თუკი ეს საქართველოში ბურჟუაზიის გაბატონების საფრთხეს შეიცავს, ჩხენკელისეული თვითმმართველობა ცენტრალურობისა და დემოკრატიულობის პრინციპს უნდა დაეფუძნოს. საერთო რუსული დემოკრატიული სახელმწიფოს შიგნით თვითმმართველობის პრინციპის განხორციელება სწორედ იმას უზრუნველყოფს, რომ საქართველოს შიგნით არ იარსებებს ერთი ერის მიერ მეორეს ჩაგვრა. მეორე მხრივ კი თვითმმართველობის უფლებით დაკმაყოფილებული იქნება საქართველოს წინაშე არსებული ეროვნული საჭიროება. (იქვე, გვ. 65)

მისი რწმენით, ეკონონომიკური კუთხით საქართველო მჭირდროდ უნდა დარჩეს დაკავშირებული ამიერკავკასიასთან და რუსეთთან, თუმცა ამავდროულად სწორედ ეკონომიკური საჭიროებები მოითხოვენ ქართველი ერის შეკავშირებას. ჩხენკელის რწმენით, ეს მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის

დროს ერთი მხრივ შეძლო თავისი ეროვნულობის გამოჩენა, მეორე მხრივ კი სხვა ერების წარმომადგენელ ჩაგრულ კლასებთან ერთად ბრძოლა. ჩხენკელისთვის ეს იყო ქართველი ერის კულტურული მთლიანობის გამოვლინება , ამიტომ სწორედ მუშათა კლასი იბრძვის და მიუძღვის ქართველ ერს „ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეროვნულ თავისუფლების მოპოვების საქმეშიც.“ (ჩხენკელი 2015 [1915], გვ. 71)

ჩხენკელის და განსაკუთრებით ჟორდანიას მოსაზრები ეროვნული საკითხის შესახებ უფრო მეტად შეესაბამება ბაუერისა და რენერის ხედვებს. ორივე მათგანი ავსტრომარქსისტების მსგავსად ერთმანეთისგან მიჯნავენ ერს და სახელმწიფოს. ჟორდანია 1913 წლის ნაშრომში პერსონალურ პრინციპზეც საუბრობს, რაც რენერის იდეა იყო და მრავალეთნიკური სახელმწიფოს შიგნით ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებში ეროვნული საკითხის კულტურული ავტონომიების საფუძველზე გადაწყვეტას გულისხმობდა.

თუმცა ჟორდანიასაც და ჩხენკელსაც მხედველობიდან რჩებათ დემოკრატიზაციის პირობებში იმპერიაში შემევალი ერების ინტერესებსა და სოციალისტთა ნაწილის მიერ მხარდაჭერილ ცენტრალიზმს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობა. ეს გარკვეულწილად გასაგებიცაა, რუსეთის იმპერია არ წარმოადგენდა დემოკრატიულ პროცესებზე დაკვირვების საუკეთესო საშუალებას. ჟორდანია თავის ნაშრომში „ეროვნული კითხვა ამიერ-კავკასიაში“ ამიერკავკასიის ერობებში წარმოქმნილ ეროვნულ გაუგებრობაზე საუბრობს, თუმცა ამას უფრო მეტად ერობებში ბურჟუაზიისა და ფეოდალთა მონაწილეობით ხსნის და სჯერა, რომ დემოკრატიის პირობებში კავკასიის სხვადასხვა ერების პროლეტარიატები თანამშრომლობას შეძლებენ. თუმცა კაუცკის თუ დავესესხებით, ეს არც ისე მარტივი იქნებოდა.

2.4 რევოლუცია და ეროვნული ყრილობა

1917 წლის 23 თებერვალს რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ საქართველო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. რუსეთში მეფის მმართველობა დაემხო, გაუქმდა ამიერკავკასიის სამეფისნაცვლოც. მარტში რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში თავის წარმომადგენლად „ოზაკომის“ სახელით ცნობილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გამოგზავნა, თუმცა „ოზაკომის“

ჩამოსვლამდე საქართველოში რევოლუციურ ძალებს უკვე დაეწყოთ მობილიზება. საქართველოში იქმნებოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა არჩეული საბჭოები, რომლებშიც ძალაუფლებას სოციალ-დემოკრატები ფლობდნენ. „ოზაკომი“, რომელიც მოკლებული იყო ყველანაირ წარმომადგენლობითობას მართვისთვის უუნარო აღმოჩნდა, ამიტომ რევოლუციის პირველი თვეებიდან რეალური ძალაუფლება სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა. (ქაზემზადე, 2020, გვ. 57)

რევოლუციის შემდეგ ჟორდანიას და მის თანამოაზრეებს მნიშვნელოვნად არ შეუცვლიათ ხედვები ეროვნულ საკითხთან და საქართველოს რუსეთის გამოყოფასთან დაკავშირებით. ისინი საქართველოს მომავალს კვლავ დემოკრატიული რუსეთის შიგნით ხედავდნენ, თუმცა უკვე მყარად უჭერდნენ მხარს თვითმმართველობის უფლებას. 30 მაისს გამართულ კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობაზე ჟორდანიამ ეროვნული საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ რევოლუციის შემდეგ კავკასიაში მცხოვრები სამი მთავარი ერისთვის, ქართველებისთვის, სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის(„თათრებისთვის“) უნდა შექმნილიყო პირობები მათი კულტურული განვითარებისთვის, რისთვისაც საჭირო იყო ნაციონალური მმართველობა და ეს მმართველობა ტერიტორიული პრინციპით უნდა განხორციელებულიყო. („კავკასიის მუშათა და გლეხთა...“, 01.06.1917, გვ. 3)

ჟორდანია იმ რეგიონებისთვის, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები შერეულად ცხოვრობდნენ ორმაგი ავტონომიის, ტერიტორიულისა და კულტურულის შექმნას უჭერდა მხარს, რასაც სხვადასხვა ერების მშვიდობიანი თანაცხოვრება უნდა უზრუნველეყო. ჟორდანიას მოხსენების საპასუხოდ სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელმა შალვა ნუცუბიძემ კვლავ ფედერაციულ კავშირს დაუჭირა მხარი აღნიშნა, რომ რუსეთი არ წარმოადგენდა „მთლიან“ სახელმწიფოს, რაც შესაძლებლად აქცევდა ფედერაციული კავშირის შექმნას. ნუცუბიძის საპასუხოდ ჩხენკელმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ზოგადი თვითმმართველობის იდეას და საფრთხედ მიიჩნია ფედერაციული კავშირის შემთხვევაში ფედერაციული ერთეულებისთვის იმგვარი უფლებების გადაცემა, რომელიც მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებების შეზღუდვას გახდიდა შესაძლებელს. (იქვე) განსხვავებულ პოზიციაზე იდგა სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე, რომელმაც მართალია

თვითმმართველობის იდეას დაუჭირა მხარი, თუმცა ადგილობრივი ერთეულებისთვის მეტი უფლებების გადაცემა მოითხოვა და დასაშვებად მიიჩნია მათთვის ეკონომიკური პოლიტიკისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამოუკიდებლად გატარება, რაც ჟორდანიამ ასევე გააკრიტიკა. საბოლოოდ ყრილობამ ჟორდანიას რეზოლუცია მიიღო.

პარტიული დავების პარალელურად 1917 წლის აპრილში საქართველოს სამი ყველაზე დიდი პოლიტიკური პარტიის, სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ დემოკრატების, კრება შედგა, რომელსაც საქართველოს წინაშე არსებული შიდა პრობლემები უნდა განეხილა. აგვისტოში ეს კრება ინტერპარტიულ საბჭოდ გარდაიქმნა. ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ კი საქართველო და ამიერკავკასია კვლავ ახალი მოცემულობის წინაშე დააყენა. ჟორდანიასთვის და სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ბოლშევიკების გამარჯვება დიდი დარტყმა იყო. მათ მთელი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში სჯეროდათ რუსეთის დემოკრატიის და საქართველოს მომავალიც დემოკრატიული რუსეთის შიგნით ესახებოდათ, როგორც თავისუფალი, თვითმმართველი ეროვნული ერთეულისა. ბოლშევიკური რევოლუცია ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის ყოველივე ამის საპირისპიროს ნიშნავდა. ამიტომ ნოემბერში ინტერპარტიული საბჭოს შიგნით საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა გადაწყდა, რომელსაც პოლიტიკურ პარტიებთან ერთად საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების, პროფკავშირების, მუშთა და გლეხთა საბჭოების, ჯარის, პრესისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები დაესწრებოდნენ. (შველიძე, 2021 გვ.17)

ჟორდანიამ, ვინც ყრილობის თავმჯორედ აირჩიეს, 20 ნოემბერს ყრილობას მოხსენებით მიმართა. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე ფუნდამენტურ საკითხებში თანხმობა მოხდა და ამ მოხსენებით ის სწორედ ქართული პოლიტიკური პარტიების საერთო ხედვას გამოხატავდა. მართალია ჟორდანიამ კვლავ დაადასტურა მისი და სოციალ-დემოკრატების ერთგულება ერთიანი რუსული დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ, თუმცა იმ პირობებში რა პირობებშიც დღეს

რუსეთი და საქართველო იმყოფებოდნენ, საჭიროდ მიიჩნია ქართველი ერის წარმომადგენლებს ერთად ემოქმედათ. მოხსენებიდან ჩანს, რომ მას უკვე გაეაზრებინა საქართველოს შესაძლო დამოუკიდებლობის პერსპექტივა. მისი თქმით, თუ რუსეთში კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა და ვერ მოხერხდა დამფუძნებელი კრების შეკრება მაშინ საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ერებს თავად მოუწევდათ ადგილობრივი დამფუძნებელი კრების მოწვევა და ადგილობრივი კონსტიტუციის შექმნა. ასევე ჩანს, რომ ჟორდანიას სიფრთხლე უკვე ტაქტიკური გამხდარიყო, რუსეთისა და საქართველოს გზები კი უკვე თითქმის გადაჭრით გაყოფილი. „ჩვენში უდროო დროს აჩქარება გამოიწვევს ექსცესებს და საქმის საბოლოოდ დაღუპვას. ... არც დაგვიანება არის ხელსაყრელი. ... თუ ჩვენც დავაყოვნეთ, ჩავცვივდებით ასეთივე [მაშინდელი რუსეთის] მდგომარეობაში და ეს დაარღვევდა საქართველოს.“ - ამბობს ის. („დღევანდელი მომენტი...“, 23.11.1917, გვ.1)

ჟორდანიას მიერ წამოყენებული შესაძლო მოდელიც გაცილებით უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე მანამდე მხარდაჭერილი თვითმმართველობა იყო. მისი თქმით:

> „საქართველოს უნდა მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა, უნდა ქონდეს უფლება საკუთარ საჭიროებებზე გამოსცეს კანონები, უნდა ყავდეს თავისი ნაციონალური ადმინისტრაცია. თუ იმ დროისთვის იქნება რუსეთში ჯარი, აქ უნდა იდგეს ჩვენი ჯარი, თუ იქნება რუსეთში სისტემა მილიციისა, აქ უნდა მოეწყოს საკუთარი მილიცია. უნდა გვქონდეს სასამართლო, სკოლა, ერთი სიტყვით უნდა მოხდეს ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია.“ (იქვე, გვ. 2)

საბოლოოდ რუსეთში ჟორდანიას მიერ მხარდაჭერილმა დემოკრატიულმა ძალებმა ვერ გაიმარჯვეს, დამფუძნებელ კრებას კი, რომლისაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს ასე ეიმედებოდათ ბოლშევიკებმა პირველივე სხდომის შემდეგ გააუქმეს. თუმცა ამიერკავკასიაში დამფუძნებელი კრებისთვის არჩეული ადგილობრივი დეპუტატების საფუძველზე ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება მოხერხდა, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმი ეწოდა. ამიერკავკასიის სეიმი უკვე წარმოადგენდა ფაქტობრივად დამოუკიდებელ ერთეულს, რაც 1918 წლის აპრილში ოფიციალურადაც

გაფორმდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაფუძნებით. თუმცა ფედერაციამ დიდ ხანს ვერ იარსება.

ბოლშევიკების მიერ ოსმალეთის იმპერიასთან ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების შედეგად საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია იმ საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, რისიც ჟორდანიას და სხვა სოციალ-დემოკრატებს ასე ეშინოდათ. ახლადშექმნილი ფედერაცია, რომელსაც არც საკუთარი ჯარი გააჩნდა და არც შესაბამისი სახსრები მის შესაქმნელად ოსმალეთის იმპერიასთან ომში აღმოჩნდა ჩართული. ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გადაცემულ ბათუმისა და ყარსის ოლქებს ითხოვდა, პერსპექტივაში კი მთლიანად ამიერკავკასიის ანექსია ჰქონდა. მას მერე რაც თურქულმა ჯარებმა ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი დაიკავეს ბათუმში აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ამიერკავკასიის დელეგაცია ჩავიდა მოლაპარაკებებისთვის, სადაც აღმოჩნდა, რომ დელეგაციის აზერბაიჯანელი წევრები სულაც არ იყვნენ წინააღმდეგნი თურქეთის მიერ ამიერკავკასიის ანექსიისა. (ქაზემზადე, 2020, გვ. 149-159)

22 მაისს ჩხენკელმა თანაპარტიელებს თბილისში საიდუმლო წერილი გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ფაქტობრივად აღარაფერი აკავშირებდათ, საქართველო კი კატასტროფის წინაშე იდგა. ჩხენკელი ერთადერთ გამოსავალს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ხედავდა, რომლის გარანტორობასაც საკუთარ თავზე პირველ მოსფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მოკავშირე გერმანია იღებდა. ჩხენკელი თანაპარტიელებს გამბედაობისკენ მოუწოდებდა და დაუყოვნებლივ მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

1918 წლის 26 მაისს ამგვარი გამოუვალი მდგომარეობიდან დაიბადა საუკუნეების შემდეგ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო, ხოლო მისი გამოცხადება ქართველ სოციალ-დემოკრატებს ხვდათ წილად. 1918 წლის ზაფხულში ჟორდანია, უკვე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის რანგში აცხადებდა: „დემოკრატიული წყობილების აშენების დროს ჩვენ გვიხდება მოქმედება ნაციონალურ ფარგლებში. თუ ნაციონალურ ჩარჩოში მუშაობა ნიშნავს ნაციონალურ დემოკრატობას, მაშინ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები ნაციონალ-დემოკრატები ყოფილან. ჩვენ არ

გვსურს ვიყოთ ბრიყვი კოსმოპოლიტები. თუ რაიმეს გაკეთება შეუძლებელი ხდება ფართე მასშტაბით, მაშინ ის უნდა გაკეთებულ იქნას ვიწრო ფარგლებში.“ (ჟორდანია, 2018, გვ. 261)

რევოლუციის პერიოდში ჟორდანიამ და სხვა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მეტად ირწმუნეს საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისა. ერთი მხრივ, მათ გააცნობიერეს, რომ საქართველოში წამყვან პოლიტიკურ ძალას სწორედ თავად წარმოადგენდნენ, რასაც საქართველოს მოსახლეობის მხრიდან მათი მხარდაჭერა ამყარებდა. ამიტომ საფრთხე იმისა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ძალაუფლებას ხელში ბურჟუაზია, ან მითუმეტეს თავად-აზნაურობა ჩაიგდებდა უფრო მცირე იყო. მეორე მხრივ კი რევოლუციის შედეგად შექმნილმა ძლიერმა და ეფექტურმა ადგილობრივმა საბჭოებმა ისინი დაარწმუნა საქართველოს დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობის შესაძლებლობაში. ეს ორმაგად საჭირო გახდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მათ საქართველოსა და ამიერკავკასიაში არ უნდა დაეშვათ იმის გამეორება, რაც პეტროგრადში ოქტომბერის ბოლშევიკური რევოლუციის სახით მოხდა.

ამასთან უკანასკნელი ერთი წლის დემოკრატიულმა პროცესებმა გამოკვეთა, ის რასაც კაუცკიც წერს. პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული პროცესების განვითარების პირობებში სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ნაციონალიზმი მხოლოდ კულტურულ კონტექსტში ვერ ჩაეტეოდა და საჭირო იქნებოდა ტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებული მინიმუმ ფართო ავტონომიის პირობებში განხორციელებული თვითმმართველობის უფლება. სწორედ ამ მონაპოვრების დასაცავად და მათ განსავითარებლად შეუდგნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობას.

თავი მესამე. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო

3.1 ეროვნული სახელმწიფოს იდეის გაგება

მართალია ქართველი სოციალ-დემოკრატები მთელი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში დაუშვებლად მიიჩნევდნენ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას, თუმცა აღმოჩნდნენ რა ისინი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მისიის წინაშე, პარტიამ ორგანიზებულად მოახერხა ამ დავალებისთვის თავის გართმევა. საჭირო იყო დასახულიყო ახალი სახელმწიფოს მოწყობის შესაძლო ფორმა, რასაც ჟორდანია 1918 წლის ზაფხულში შეეცადა მოხსენებით, რომელიც გაზეთ „ერთობის“ ნომრებში ქვეყნდებოდა სახელწოდებით, „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია.“

ჟორდანია პირველ რიგში განასხვავებს მანამდე იმპერიების რღვევის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებს და საქართველოს შემთხვევას იმ ნიშნით, რომ სხვა სახელმწიფოები ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა დააფუძნეს, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობა სოციალ-დემოკრატიულ ნიადაგზე უნდა წარმოებულიყო. ჟორდანია თავიდანვე აღიარებს, რომ მარქსისტული გაგებით სახელმწიფო გაბატონებული კლასების ხელში არსებულ იარაღს წარმოადგენს არსებული წესრიგის განსამტკიცებლად, თუმცა ის იმოწმებს კარლ კაუცკის თეორიას, რომლის მიხედვითაც, სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრებას წინ სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პრაქტიკების განვითარება უსწრებს, რომლის საშუალებითაც პროლეტარიატი საკუთარ ხელში იღებს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ამიტომ ჟორდანიას თქმით, სოციალ-დემოკრატიული გზიდან გადახვევა უშუალოდ სახელმწიფოს დაარსების ფაქტმა კი არ შეიძლება გამოიწვიოს, არამედ იმან, თუ როგორ მოხდება ამ სახელმწიფოს მოწყობა და ვის ინტერესს მოემსახურება ის. (ჟორდანია, 2018, გვ. 45)

დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეის გარშემო თავის ხედვას უფრო მემარჯვენე პოზიციაზე აყალიბებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე. საყვარელიძე აკრიტიკებს სოციალისტთა ზოგიერთ წრეებში დამკვიდრებულ აზრს, ერი-სახელმწიფოების გაქრობის დამგდარი საჭიროების შესახებ, თითქოს არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პირობებმა

მსოფლიო უკვე მიიყვანა ამ ეტაპამდე. ავტორის აზრით, ამგვარი ხედვები იმპერიალისტური იდეოლოგიის ნაყოფი იყო, რომელიც გარკვეულმა სოციალისტრუმა წრეებმა შეცდომით გაიზიარეს, თუმცა პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა კაცობრიობა საპირსპიროში დაარწმუნა. (საყვარელიძე, 03.04.1920)

საყვარელიძის აზრით, ეროვნული საკითხის იდელაური გადაწყვეტა სწორედ „ნაციონალური სახელმწიფოს“ შექმნაში მდგომარეობს. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე საყვარელიძე საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს ეხება და ამას ამართლებს როგორც დემოკრატიული და კულტურული ფაქტორებით, ისე ისტორიული არგუმენტით. მისი თქმით, რუსეთის იმპერიამ 1783 წლის ტრაქტატის დარღვევით საქართველოს ანექსირება მოახდინა, თუმცა მისი უფლება დამოუკიდებლობისა შენარჩუნებული იყო მთელი ასწლეულის განმავლობაში, ხოლო ქართველი ხალხი ამ პერიოდის განმავლობაში იბრძოდა ამ უფლების ფაქტობრივად აღდეგნისათვის. აქვე საყვარელიძე ერთმანეთისგან მიჯნავს იმ საქართველოს, რომელიც რუსეთმა დაიპყრო და იმ საქართველოს, რომელმაც დამოუკიდებლობა აღიდგინა. მისი თქმით: „წარსულში საქართველოს საფუძველი იყო ფეოდალიზმი, დაქსასვა, დღევანდელი საქართველოს საფუძველია დემოკრატიზმი, მთლიანობა.”(„დამფუძნებელი კრება“, 26.11.1920)

1920 წელსვე გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც კონსტიტუციურ საკითხებს შეეხებოდა, საყვარელიძე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს განხორციელების საწყისებს 1917 წლის ნოემბერში ჩატარებული ეროვნული ყრილობიდან ხედავს. საყვარელიძე აანალიზებს იმ ისტოირულ და პოლიტიკურ კონტექსტს, რომელშიც ამ ყრილობის ჩატარება გახდება საჭირო და მიაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა ყრილობაზე წამოყენებული მოთხოვნით, უზრუნველყოფილიყო მისი თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები, ფაქტობრივად შეუქმნა საფუძველი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ხოლო ამ მოთხოვნის განხორციელებად მიაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, „უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც უფლებრივ და კონსტიტუციურ გამოხატულებას აძლევს საქართველოს სახელმწიფოებრივობის შობას და დასაწყისს.“ (საყვარელიძე, 29.01.1920)

საყვარელიძე საკმაოდ შორდება მარქსისტულ პოზიციას, მიიჩნევს რა სახელმწიფოს ეროვნული გადარჩენისა და განვითარებისთვის საჭირო ერთგვარ აუცილებელ ჯავშნად, რითიც ის მის ანტაგონისტურ ხასიათს უარყოფს და სახელმწიფოს საჭიროების გაქრობის საკითხს საკმაოდ შორეულ ფენომენად აღიქვამს. საყვარელიძე სახელმწიფოს ზნეობრივ-სოციალურ ხასიათზე საუბრობს და მას კლასობრივი დაპირისპირებაზე ზემდგომადაც კი მიიჩნევს. მისი აზრით, ერი სწორედ სახელმწიფოს შიგნით შეიძლება ისწრაფვოდეს უკეთესი მომავლისაკენ. საყვარელიძეს მომავალ უფრო „სამართლიან და მშვიდობიან“ სამყაროში ხალხთა ურთიერთობა სწორედ სახელმწიფოთი გაშუალებული წარმოუდგენია, „აუცილებელ ამა თუ იმ ფორმის საერთაშორისო შეკავშირებამდე“. ბუნდოვანია რა შეიძლება იგულისხმებოდეს ამ საერთაშორისო შეკავშირებაში.

მისგან განსხვავებით ჟორდანია, კვლავ მყარად დგას იმ აზრზე, რომ სახელმწიფო მხოლოდ რომელიმე კლასის ხელში არსებულ იარაღს წარმოადგენს და ის დროებითი ხასიათისაა, გადალახვადი ეტაპია და მისი გადალახვა საჭიროც კია სოციალისტური საზოგადოების დამყარებისათვის. მხოლოდ ჟორდანია სახელმწიფოს უფრო ინსტურმენტულ გამოყენებას უჭერს მხარს. მისი აზრით, სახელმწიფო ვერ იქნება სავსებით არაბურჟუაზიული და მისი ასეთად წარმოდგენა უტოპიაა. ამიტომ ის უფრო პრაქტიკულ მიზანს სახავს სახელმწიფოებრივი განვითარებისა, კერძოდ: „ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებს ნაკლების მქონე და არა მქონე კლასების ინტერესებისათვის.“ (ჟორდანია, 2018, გვ. 47-48)

საყვარელიძეც და ჟორდანიაც თავიანთ ნაწერებში კარლ კაუცკის იდეებს იმოწმებენ. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ მიერ გაგებული ერი სახელმწიფოს იდეა შესაბამისობაშია კაუცკის თეორიასთან, განსაკუთრებით იმ კუთხით, რომ ორივე მათგანი აქცენტს ამ ერი-სახელმწიფოს იმგვარ მოწყობაზე აკეთებს, სადაც გარანტირებული იქნება დემოკრატიული წყობის არსებობა. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე უკვე ჟორდანიასთვის, ისევე როგორც კაუცკისათვის, სწორედ ისაა გადამწყვეტი სახელმწიფოზე საუბრისას, თუ როგორ იქნება ის მოწყობილი და არა იმაზე, ზოგადად იარსებებს თუ არა ის.

3.2 სახელმწიფოს საფუძველი: დემოკრატიული რესპუბლიკა

სახელმწიფო მოწყობის შესაძლო პერსპექტივების განხილვისას ჟორდანია ქართული საზოგადოების სტრუქტურის განხილვით იწყებს. იმ პირობებში, რომ ქვეყანაში ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასები თითქმის არ არსებობენ, მისი თქმით, ქართულ საზოგადოებას სხვა სამი კლასი შეადგენს: ქალაქური პროლეტარიატი, ქალაქური წვრილი ბურჟუაზია და სოფლად მცხოვრები გლეხობა. ჟორდანიას აზრით, თითოეული სახელმწიფოს მოწყობის ფორმას სწორედ მისი საზოგადოებრივი სტრუქტურა განსაზღვრას, შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საძირკველიც სწორედ დასახელებული სამი კლასი უნდა იყოს. ვინაიდან დემოკრატიული წყობა გლეხების გარდა დანარჩენი ორივე კლასის პირდაპირ ინტერესში შედის, ჟორდანიას თქმით, ქართულ სახელმწიფოში მმართველობის ერთადერთი ფორმა შეიძლება იყოს დემოკრატიული. (ჟორდანია, 2018, გვ. 51)

დემოკრატიული მმართველობის მოწყობის შესაფერის მოდელად ის რესპუბლიკას სახავს და გამოყოფს სამი სახის რესპუბლიკას. ჟორდანიას აზრით, საქართველოში სოციალური რესპუბლიკის განხორციელებისთვის საჭირო პირობები არ არსებობს(აქ ის მარქსისეულ განმარტებას ეყრდნობა, შესაბამისად სოციალურ რესპუბლიკად იმგვარი რესპუბლიკაა ნაგულისხმევი, სადაც კერძო საკუთრება უკვე აღმოფხვრილია), ხოლო პარლამენტარული რესპუბლიკა მას ბურჟუაზიულ რესპუბლიკად მიაჩნია, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება, ხალხი კი ჩამოცილებულია რეალურ მმართველობას. ამიტომ ჟორდანია არჩევანს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე აჩერებს.

ჟორდანია გამოყოფს დემოკრატიული რესპუბლიკის ორ ფორმას უნიტარულს და ფედერაციულს და მხარს უჭერს უნიტარულ რესპუბლიკას, ხედავს რა ფედერაციულ რესპუბლიკაში ფედერალური ერთეულების ცენტრისგან მოწყევტის საშიშროებას და პროვინციული ძალების, გლეხობის გაბატონების საშიშროებას, რაც ხელს შეუშლის ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის კონსოლიდაციას და საწარმოო ძალების ერთიან განვითარებას ქვეყანაში. მისი თქმით, „ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ავაშენოთ ისეთი რესპუბლიკა, რომელიც შეიძლება იყოს „პოლიტიკურ ფორმათ სოციალიზმისა და მით საშვალება მოგვეცეს ჩვენ მომავალში ვიმოქმედოთ საზოგადოების სოციალისტურ

ნიადაგზე გარდასაქმნელად. ხალხის პოლიტიკური თვითმართველობა – ეს აუცილებელი საშვალებაა და უეჭველი საფეხურია მის სოციალური თვითმართველობის.“ (ჟორდანია 2018, გვ. 63)

ამ გაგებით, ჟორდანია ერთი მხრივ პირდაპირ მიყვება კაუცკისეულ თეორიას სოციალური გარდაქმნისა და განვითარებისა, მეორე მხრივ კი მკაფიოდ ავლებს ზღვარს ადრეკაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ქართულ და ბოლშევიკურ მოდელებს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ინდუსტრიულად ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული, ხოლო გლეხობა ქვეყნის ყველაზე დიდ კლასს წარმოაგდენდა ჟორდანიამ და სოციალ-დემოკრატებმა სწორად შეაფასეს არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს აღმშენებლობისას აქცენტი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე გააკეთეს.

მოგვიანებით, სახელმწიფოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შესაფერისი მოდელის შესახებ მსჯელობამ დამფუძნებელ კრებაში შექმნილ საკონსტიტუციო კომისიაში გადაინაცვლა. კომისიის თვამჯდომარე, პავლე საყვარელიძე მთავრობის ოფიციალურ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ მოდელების განხილვას სპეციალურ სტატიას უთმობს. საყვარელიძის თქმით, იმ დროისთვის დემოკრატიული რესპუბლიკური მმართველობის სამი მოდელი არსებობდა. მათ შორის პირველი პირდაპირ დემოკრატიას წარმოადგენდა, რომლის მაგალითიც შვეიცარიის რამდენიმე კანტონში არსებობდა. მეორე - წარმომადგენლობით დემოკრატიას, რომელიც ძალაუფლების გამიჯვნის საფუძველზე იყო შექმნილი და მის მაგალითს ამერიკაში ვხვდებოდით, ძლიერი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებით, რომელთაც უფლებამოსილებები ჰქონდათ გადანაწილებული. ხოლო მესამე საფრანგეთში არსებულ საპარლამენტო დემოკრატიას წარმოადგენდა. საყვარელიძის აზრით, საქართველოში აბოსლუტური სახით არცერთი მათგანის განხორციელება მიზანშეწონილი არ იყო. (საყვარელიძე, 01.02.1920)

საქართველოში პირდაპირი დემოკრატიის განხორციელება არაერთ პრობლემას გამოიწვევდა, პირველ რიგში მოსახლეობის რაოდენობიდან და საზოგადოებაში ამგვარი პრაქტიკის არარსებობის გამო. ამიტომ საბოლოოს შეირჩა მაქსიმალურად

წარმომადგენლობითი მოდელი, რაც საპარლამენტო დემოკრატიას გულისხმობდა, თუმცა მოქალაქეთა გავლენის გასაზრდელად ამ მოდელს პირდაპირი დემოკრატიის ელემენტებიც, რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა დაუმატეს. (მაცაბერიძე, 2021, გვ. 202)

1918 წლის დეკემბერში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებიდან ექსვი თვის შემდეგ ჟორდანია ქართული სახელმწიფოს ორ მთავარ ღირსებაზე საუბრობდა. თავისუფლებასა და წესრიგზე. ის ამ ღირსებებს რუსეთთან მიმართებაში აფასებდა და ამბობდა, რომ მაშინ როცა რუსეთი რეაქციასა და სამოქალაქო ომს მოეცვა საქართველომ შეძლო ძლიერი სისტემის განვითარება. ჟორდანიას თქმით, სწორედ დემოკრატიის დამყარებამ და მისმა განვითარებამ მოუტანა საქართველოს ეს ღირსებანი და ეს იყო საბუთი ქართული დემოკრატიის პრაქტიკაში მუშაობისა. მისი თქმით სწორედ ქართული დემოკრატია ის საფუძველი, რაც საქართველოს ევროპის ხალხთა შორის დაუმკვიდრებდა საკუთარ ადგილს. „აი, ბატონებო, დიდი საბუთი ჩვენი პოლიტიკური სრულ-წლოვანების, ჩვენი სახელმწიფოებრივი მომწიფების და თავის თავის პატრონობის. ჩვენ არა თუ გვსურს, არამედ შეგვიძლია ვიყოთ დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა: ჩვენ უკვე ვართ ეს ექვსი თვეა და ვიქნებით მუდამ.“ - მიმართავდა ის საქართვლოს პარლამენტის სხდომას. (ჟორდანია, 2018, გვ. 109)

აღსანიშნავია, რომ ჟორდანიას და ქართველი სოციალ-დემოკრატების ამგვარი რწმენა დეოკრატიული სისტემის მიმართ მხოლოდ რეაქცია არ ყოფილა ბოლშევიკური რუსეთის განვითარების გზაზე. როგორც სტივენ ჯონსი(2007) აღნიშნავს, ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის დემოკრატიული მმართველობა და საყოვლეთაოობა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა პარტიის საორგანიზაციო საკითხებსა და პარტიული საქმიანობის შემთხვევაშიც. (გვ. 149) სწორედ ეს გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი თავდაპირველი გაუგებრობის საგანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

თუ კაუცკის თეორიას შევხედავთ არ დაგვაეჭვებს ჟორდანიას ასეთი რწმენა დემოკრატიის მიმართ. კაუცკის მიხედვით, სწორედ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების განვითარება წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლის საშუალებითაც ერთი

მხრივ მრავალეთნიკური იმპერიის შიგნით ჩაგრული ერები ახერხებენ ეროვნულ თვითგამორკვევასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის ბრძოლას, მეორე მხრივ სწორედ დემოკრატია და ჩაგრული კლასების მიერ მისი საშუალებით სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღებაა კლასობრივი ბრძოლის იმგვარი გაგრძელება, რომელსაც შეუძლია რეალური სოციალური ცვლილებების გაჩენა.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ მეოცე საუკუნის პირველ წლებში ქართულ პოლიტიკურ ოგრანიზაციებს შორის საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა საქართველოს მომავალი პოლიტიკური ადგილისა და მოწყობის შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა დამოუკიდებლობამდე განვლილ პერიოდში ქართველი სოციალ-დემოკრატების ხედვის ცვლილება. მართალია პარტიის წევრები ქვეყნის დამოუკიდებლობის საჭიროებებში საბოლოოდ შექმნილმა რთულმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ დაარწმუნა, თუმცა არასწორი იქნებოდა გეოპოლიტიკური ფაქტორების გადაჭარბებით შეფასება. როგორც ვნახეთ, ეროვნული საკითხის მიმართ პარტიის ხედვებს რევოლუციამდელ პერიოდშიც კი უკვე საკმაო ცვლილება განეცადა და თუკი მანამდე პარტია საქართველოსთვის ეროვნული ნიშნით გამოკვეთილი რაიმე სახის ავტონომიურობის მინიჭებასაც კი საფრთხედ თვლიდა, 1917 წლისთვის ისინი უკვე ტერიტორიული ნიშნით გამოკვეთილი თვითმმართველობის იდეაზეც საუბრობდნენ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა 1905 წლიდან რუსეთის იმპერიის წარმომადგენლობით ორგანოებში მუშაობის შედეგად გაიაზრეს საქართველოს საჭიროება პოლიტიკურ თვითმმართველობისა. ხოლო ამის პრაქტიკულ შესაძლებლობაში ისინი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დარწმუნდნენ, როცა საქართველოში თანდათან განვითარდა დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუტები.

სწორედ დემოკრატია იქცა იმ საფუძვლად, რომელსაც 1918 წლიდან ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო დაეფუძნა. ახალგაზრდა სახელმწიფოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებზე მოწყობას უნდა უზრუნველეყო სახალხო მმართველობა, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთვის მუდმივი ლეგიტიმურობის გარანტი იქნებოდა. ეს სახელმწიფოს სოციალური ცვლილებისა და განვითარების ინტრუმენტადაც აქცევდა, რომლის საშუალებითაც უნდა მიღწეულიყო იმ უფრო სამართლიანი და უფრო თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის შექმნისთვისაც ქართველი სოციალ-დემოკრატები მთელი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში იბრძოდნენ.

რუსი ბოლშევიკებისგან, მათი ყოფილი თანაპარტიელებისგან განხვავებით, ისინი აცნობიერებდნენ, რომ ამგვარი საზოგადოება ხელის ერთი მოსმით ვერ ჩამოყალიბდებოდა და ქართველ ხალხს მას ძალით ვერც ვერავინ მოახვევდა თავს. ხახლს ის საკუთარი ძალით უნდა შეექმნა, ქვეყნისა და საკუთარი ცხოვრების მართვაში აქტიური მონაწილეობით. ამიტომაც იყო, რომ კონსტიტუცია მოქალაქეებს ადგილობრივი თუ სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებაში ფართო შესაძლებლობს აძლევდა. ამიტომ იყო, რომ კონსტიტუციაში დემოკრატიული რესპუბლიკა სახელმწიფო მოწყობის მუდმივ და უცვლელ ფორმად იქნა აღიარებული.

ბიბლიოგრაფია:

წიგნები და სტატიები:

1. ირემაძე, ი. (2021). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - რეპრესირებული და მივიწყებული პოლიტიკური მოდელი.* https://ge.boell.org/ka/2021/05/26/sakartvelos-demokratiuli-respublika-represirebuli-da-mivicqebuli-politikuri-modeli მოძიებული 14.05.2022
2. კაუცკი, კ. (2018). *საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
3. ლი, ე. (2018). *ექსპერიმენტი. საქართველოს მივიწყებული რევოლუცია.* პოეზია. თბილისი
4. მაცაბერიძე, მალხაზ. (2021). *საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია.* შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი.
5. ჟორდანია, ნ. (2015 [1908]). ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი. *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია.* გვ. 28-46. თბილისის ფაბიანური საზოგადოებდა.
6. ჟორდანია, ნ. (1922 [1913]) ნაციონალური კითხვა ჩვენში. წიგნში: *ეროვნული კითხვა. ნ. ჟორდანია. მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ.* გვ. 158- 245. რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.
7. ჟორდანია, ნ. (1922) ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში. წიგნში: *ეროვნული კითხვა. ნ. ჟორდანია. მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ.* გვ. 245 - 270. რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გამოცემა.
8. ჟორდანია, ნ. (2018) *საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტომი XIII. ნოე ჟორდანია.* საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი

9. სმითი, ე. (2004) *ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია.* ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
10. ქაზემზადე, ფ. (2020). *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921.* პოეზია. თბილისი.
11. შველიძე, დ. (2021). *საქართველოს უახლესი ისტორია (1917 – 2012).* მერიდიანი. თბილისი
12. ჩხენკელი, ა. (2015 [1915]). ერი და ჩვენ. *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია.* გვ. 50-71. თბილისის ფაბიანური საზოგადოებდა.
13. ჯონსი, ს. (2007). *სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
14. ჯორჯაძე, ა. (1911) *თხზულებანი. წიგნი მეოთხე.* ტფილისი.
15. Avineri, S. (1991). Marxism and Nationalism. In *Journal of Contemporary History*. 26:3/4, The Impact of Western Nationalisms. pp. 637-657. https://doi.org/10.1177/002200949102600315. მოძიებული: 24.05.2022
16. Czerwińska-Schupp, E. (2016). *Otto Bauer (1881-1938) Thinker and Politician*. Brill. Leiden | Boston. https://brill.com/view/title/33039. მოძიებული. 29.05.2022
17. Jones S. (2014). Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21. In *Caucasus Survey*, 1:2, pp. 63-81 - https://www.researchgate.net/publication/356180233. მოძიებული: 14.05.2022
18. Jones, S. (2015). Georgian Social Democracy. In *Georgia's European Ways. Political and Cultural Perspectives.* pp. 28-44. Tbilisi.
19. Kautsky, K. 2009 [1908], Nationality and internationality, in *Critique*, 37: 3, გვ. 371 – 389 DOI: https://doi.org/10.1080/03017600902989799. მოძიებული: 03.06.2022
20. Kautsky, K. (2019). Parliamentarism and the Working Classes. In *Karl Kautsky on Democracy and Republicanism*. pp:130-139 BRILL. Leiden | Boston. https://brill.com/view/title/33937 - მოძიებული: 12.02.2022
21. Kautsky, K. (1918). The Dictatorship of the Proletariat. In *Marxists Internet Archive*. https://www.marxists.org/archive/kautsky/1918/dictprole/index.htm. მოძიებული: 05.06.2022

22. Matsaberidze, M. (2014). The Democratic Republic of Georgia (1918–21) and the search for the Georgian model of democracy. In The Making of Modern Georgia, 1918–2012 The first Georgian republic and its successors. pp. 318-356. Routledge. New York
23. Thompson, J. M. (2019) Karl Kautsky and the Theory of Socialist Republicanism. In *Kindheit(en) in formalen, nonformalen und informellen Bildungskontexten.* pp.159-181. https://www.researchgate.net/publication/332803973. მოძიებული: 06.06.2022

გამოყენებული გაზეთები:

1. კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი. (1917, 1 ივნისი. N60) *ერთობა*
2. კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი. (1917, 2 ივნისი. N61) *ერთობა*
3. დღევანდელი მომენტი და ქართველი ერი. (1917, 23 ნოემბერი. N203). *ერთობა*
4. დამფუძნებელი კრება (1920, 26 ნოემბერი. N270). *ერთობა.*
5. საყვარელიძე, პ. (1920, 29 იანვარი. N21). საქართველოს კონსტიტუციისთვის. *საქართველოს რესპუბლიკა.*
6. საყვარელიძე, პ. (1920, 1 თებერვალი. N24). საქართველოს კონსტიტუციისთვის. *საქართველოს რესპუბლიკა.*
7. საყვარელიძე, პ. (1920, 26 მარტი. N68). საქართველოს კონსტიტუციისთვის. *საქართველოს რესპუბლიკა.*
8. საყვარელიძე, პ. (1920, 3 აპრილი. N75). საქართველოს კონსტიტუციისთვის. *საქართველოს რესპუბლიკა.*
9. ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ. (1903. 1 მაისი. N1). *საქართველო.*
10. საქართველო და კავკასიის ფედერაცია. (1904, 1 თებერვალი. N9). *საქართველო.*

ლექსიკონი:

1. ერი-სახელმწიფო. (2004). ლექსიკონში *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი.* ლოგოს პრესი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4089 მოძიებული: 12.05.2022
2. სახელმწიფო. (2004). ლექსიკონში *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი.* ლოგოს პრესი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6620. მოძიებული: 10.05.2022